# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 18 ივლისი 2007 №163 (3086) ფასი 50 თეთრი


# 0 ოლიმპი ყაზახეთში 0
# ცარიელ-ტარიელი მიდის
## რა გამოვა ამ საქმიდან?



რევაზ ჯიქიას გაცუდებული ურეალურესი მომენტი

# ამერი ჩავიდა
## საქართველოს თასის მფლობელი დღეს ბელხატუვს ესტუმრა



პოლონეთში გამგზავრებამდე „ამერმა" საგურამოს ბაზაზე ივარჯიშა



თბილისში ჩამოსული ლიხტენშტაინელები გუმინდელ ვარჯიშზე

# ვადუცი ჩამოვიდა
## დინამო მეტოქეს გაქლიერებული დაუხვდა: დიდიე ოვონო და ჭორუ აპირაპი საუეფო განაცხადში არიან!

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი



ასე გადარჩა „ოლიმპი" ბოლო წუთებში–

ბადრი კოპილაძის ფოტო

რუსთავი. 17 ივლისი. 18.15 საათი. ფოლადი. 5 000 მაყურებელი

**ოლიმპი 0:0 ასტანა**

| | |
|---|---|
| ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, ორბელაძე, აკუასაგა, ჭიჭვეიშვილი, სილაგაძე (კოშკაძე 68), გეწაძე, ჟივკოვიჩი (რ. ჯიქია 46), ნავალოვსკი, დვალიშვილი, დვალი (მასუანგა 57) სათადარიგონი: მ. ალავიძე, კახელიშვილი, ხუბუა მწვრთნელი: ვარლამ კილასონია | ასტანა: ბოიჩენკო, კუმისბეკოვი, კუჩმა, ჟალმაგამბეტოვი, ჩიჩულინი, გენჩევი (ალიევი 90), ბულატოვი, სერგიენკო, კენჟისარიევი (კუკიევი 74), სუჩკოვი, კოჩკაევი (ტლეხუგოვი 46) სათადარიგონი: კუზნეცოვი, სუიუმაგამბეტოვი, აკსიონოვი, აბდუალიევი მწვრთნელი: ალექსანდრ ირხინი |

გაფრთხილება: დვალი (23), ტოდოროვი (36), ჟალმაგამბეტოვი (64), ჩიჩულინი (76), კუჩმა (80), გეწაძე (82)

მსაჯები: მ. ბორსკი; რ. როსტკოვსკი, დ. ვარდაკი; გ. გილევსკი (ყველა პოლონეთი)

უეფას დელეგატი: ს. დაოდი (ისრაელი)

# თავიდან რუსთაველმა ითავა..

ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან

**ამწვანებული** მოედნით, განახლებული ტრიბუნებით, ამ ტრიბუნებზე გაჩენილი გულშემატკივრებით და ოდნავ მბჟუტავი ძველისძველი ტაბლოთი უმასპინძლა რუსთავის „ფოლადმა" ევროტურნირების პირველ მატჩს. ადრე აქ უთამაშია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, მორაგბეებიც არაერთხელ დაუხვდნენ მეტოქეს, ახლა კი მეტალურგთა ქალაქში საერთაშორისო თამაში „ჩაიტანა" იქ ერთი წლის წინათ დამკვიდრებულმა „ოლიმპმა".

0:0 — ძნელი სათქმელია, კარგია თუ ცუდი ეს ანგარიში საქართველოს ჩემპიონისთვის. ყაზახთა დედაქალაქ ასტანაში საპასუხო თამაშამდე ნაადრევია რაიმე კონკრეტულის თქმა. ამ მატჩიდან კი ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: „ოლიმპს" უნდა მოეგო.

რუსთაველები უტევდნენ პირველიდან 94-ე წუთამდე და უზარმაზარ სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა გოლებში ან თუნდაც 90-პროცენტიან საგოლე მომენტებში ვერ ასახეს. ძალიან ბევრჯერ დაარტყეს კარისკენ, ყაზახთა მეკარე სერგეი ბოიჩენკო იქნებ ცოტა ანერვიულეს კიდეც, მაგრამ დიდად ვერ შეაწუხეს. დაცვაში ჩაბეჭდილმა და მწვრთნელის იდეაში კონტრშეტევებზე ჩასაფრებულმა „ასტანამ" კი საშუალოზე საშუალო დონის გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მისი დამარცხება არაა შეუძლებელი საქართველოს ჩემპიონისთვის, თუნდაც ყაზახეთში. მთავარია, გოლის გატანა მოხერხდეს.

„ოლიმპი" ევროსეზონის დაწყებას ახალ მთავარ მწვრთნელ ვარლამ კილასონიას მეთაურობით და რამდენიმე ლეგიონერით შეხვდა. კუპრივით შავმა განონელმა მცველმა ერნესტ აკუასაგამ მთელი მატჩი ითამაშა. ძირითადში დაიწყო სერბმა ვლადან ჟივკოვიჩმაც, მაგრამ კილასონიამ ის მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალა. კონგოელმა თავდამსხმელმა ბოდრი მასუანგამ (და არა ბასვანგამ) კი ბოლო 30 წუთი დაყო მოედანზე. სამივე ახალწვეულმა რიგიანი შთაბეჭდილება დატოვა, ყოველ შემთხვევაში, მათ არაფერი გაუფუჭებიათ. ისინი ქართველებთან საკმაოდ შეწყობილად თამაშობდნენ და არანაკლები მონდომებით უტევდნენ ყაზახებს. განსაკუთრებით გამოსარჩევია ჟივკოვიჩი, რომელიც თავდამსხმელთა წყვილის უკან მოქმედებდა და გონივრულად ანაწილებდა პასებს.

აქტიურობდნენ თავდამსხმელებიც — ჯაბა დვალი და ვლადიმერ დვალიშვილი, ასევე მარჯვენა ნახევარმცველი რევაზ გეწაძე. მალე მას მარცხენა ნახევარმცველი გიორგი ნავალოვსკიც აჰყვა: ეს ორნი პირველ ტაიმში ხშირად ცვლიდნენ შეტევის ფრთებს და თავდამსხმელებთან ერთად აწვალებდნენ ასტანელებს.

„ოლიმპი" არ ცდილობდა ყაზახური დაცვის მეკარიანად მოტყუებას და ძირითადად შორიდან ურტყამდა, რაც, ჩანს, მწვრთნელის დავალება იყო. ამ დარტყმებიდან შედარებით სახიფათო იყო გეწაძის დარტყმული მარჯვნიდან ახლო კუთხეში, თუმც ბურთმა მხოლოდ გარედან შეარხია ბადე.

ტაიმის შუაწელს ქართველებმა კუთხურის დროს შექმნეს ხიფათი, მაგრამ აქ მასპინძელთა ორმა მოიერიშემ ერთმანეთს შეუშალა ხელი და ბურთი ხარიხას გადასცდა. კიდევ ბევრჯერ დაარტყეს რუსთაველებმა, მაგრამ ბურთი ან მეკარის ან მომტანი ბიჭუნების ხელებში ამთავრებდა ფრენას, კარის გზა კი ვერაფრით გაიკვალა.

მეორე ტაიმი „ოლიმპმა" ცვლილებით დაიწყო — ჟივკოვიჩი მოედანზე უსარგებლო კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, მაგრამ რაკი „ასტანასგან" დიდი ხიფათი არ იგრძნობოდა, კილასონიამ გარისკა და სერბი გამთაამშებლის ნაცვლად მესამე თავდამსხმელი შეიყვანა. რევაზ ჯიქიამ დვალ-დვალიშვილის დუეტი ტრიოდ აქცია და მეორე ტაიმის პირველივე წუთებზე ორ სახიფათო ეპიზოდში დაიდო წვლილი, მაგრამ შემდეგ გაფერმკრთალდა.

ცოტა ხანში დვალის ნაცვლად შესულმა მასუანგამ მეურვეს ყვითელი აჰკიდა და მერეც ბევრი ირბინა, მაგრამ არც მას შეუქმნია 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი.

მოკლედ, დრო „ოლიმპის" შეტევებში გადადიოდა, მაგრამ გოლი არ ჩანდა და არც გამოჩენილა. ერთხელ აკუასაგამაც სცადა შორიდან დარტყმა, ძალიან შორიდან... მთელი თამაში დაცვაში საიმედოდ მოთამაშე განონელმა 40 მეტრიდან დაუმიზნა „ასტანას" კარს... ბურთი მშვიდად მოუგორდა სერგეი ბოიჩენკოს.

89-ე წუთზე კი „ოლიმპი" გოლს იქით გადაურჩა. შეცვლაზე შესულმა არსენ ტლეხუგოვმა მანამდე ერთხელ უკვე ააფორიაქა მასპინძელთა დაცვა და ბოლოს ლამის მართლა მოინადირა გოლი — მცველები მოატყუა და ახლოდან კარგად დაარტყა, მირზა მერლანმა ურთულესი ბურთი მოიგერია.

კიდევ ერთი-ორი ოლიმპური შეტევა და თამაში დამთავრდა. საქართველო-ყაზახეთის ჩემპიონთა პირველმა დაპირისპირებამ კითხვებზე პასუხების გაცემა ეს ერთი კვირით, საპასუხო შეხვედრამდე გადადო.



რუსთაველთა შეტევა „ასტანას" კართან

ბადრი კოპილაძის ფოტო

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

**ხაზარი (აზერბაიჯანი) 1:1 დინამო (ხორვატია)**
1:0 რამაზანოვი (59), 1:1 ეტო (63)

**აპოელი (კვიპროსი) 2:0 ბატე (ბელარუსი)**
1:0 მაიკლი (42), 2:0 მახლასი (60)

**ზეტა (ჩერნოგორია) 3:1 კაუნასი (ლიტვა)**
1:0 კორაჩი (34პ), 2:0 ტუმბასოვიჩი (36), 3:0 სტეპანოვიჩი (59), 3:1 კვარაცხელია (68)

**ლინფილდი (ჩრდილოეთ ირლანდია) 0:0 ელფსბორგი (შვედეთი)**

**მურატა (სან მარინო) 1:2 ტამპერე (ფინეთი)**
1:0 პროტი (22), 1:1, 1:2 ნიემი (68, 87)

**ნიუ სეინტსი (უელსი) 3:2 ვენტსპილსი (ლატვია)**

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ურავა 2:2 მანჩესტერი | ბორდო 1:1 არისი |
| რასინგი 1:2 ბოლტონი | შტუტგარტი 1:1 ლაციო |
| გვადალახარა 1:0 სეონგნამი | მარსელი 1:0 ტულუზი |
| უტრეხტი 3:1 ტელსტარი | ალდერშოტი 0:2 კრ. პალასი |
| ვალანსიენი 1:1 ამიენი | ვერდერი 2:3 ლივერპული |
| სპარტა 1:0 დენ ჰააგი | ჰარტლპული : ნიუკასლი |
| ჰანოვერი 1:0 რეინჯერსი | რედსემი 2:5 ბარნლი |
| ჰერტა 1:1 მიდლსბრო | სტენჰაუზმური 2:2 პარტიკი |
| შტურმი 3:2 ბრატკორნი | ტელფორდი 3:5 ჩესტერი |
| ვესტ ჰემი 0:1 სიგმა | იოვილი 3:2 პლიმუთი |
| იგლსი 1:2 უენსდი | დაგენემი 0:1 ფულემი |
| დორდრეხტი 3:2 ნაიმეგენი | ერდრი 0:3 დანდი იუნ. |
| მეცი 2:2 მონსი | ინტერი 3:0 ჩინეთის ნაკრები |
| ციურიხი 2:0 ვილი | კორონა 0:1 ბრნო |

## შვედეთი
ალსვენსკა. XIV ტური
მალმიო 1:1 იურგორდენი

## ირლანდია
პრემიერლიგა. XVIII ტური
კორკი 2:0 უოტერფორდი

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ





**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲘᲠᲮᲘᲜᲘ**: დიდი მადლობა კარგი დახვედრისთვის. ისედაც ბევრი ვიცოდი კავკასიური სტუმართმოყვარეობის თაობაზე და მართლაც ყველაფერი გამართლდა... რაც შეეხება თამაშს, გუნდში ახალი მოსული ვარ, ჩემი შეხედულებები მაქვს და რამდენიმე ცვლილება განვახორციელე, მეტი ველარ მოვასწარი...

...პირველი ათი წუთი მასპინძლებისა იყო, მერე თანდათან გამოვასწორეთ თამაში, მეორე ტაიმი კი თანაბარი გამოდგა. 0:0 კანონზომიერ შედეგად მიმაჩნია — მოგება „ოლიპსაც" შეეძლო და ჩვენც...

...ერთადერთი, რაც არ გამოგვივიდა, შეტევა იყო. ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ გუნდს დაღლა ეტყობა და ოპტიმალურ ფორმაში არ არის. იყო მომენტი, როდესაც მეტოქემ სამი თავდამსხმელით შემოგვიტია და ცენტრი დაკარგა, ჩემებს ამ დროს მეტი რწმენა რომ ჰქონოდათ და მხოლოდ იმაზე არ ეფიქრათ, არ წავაგოთო, უკეთესი შედეგის მიღება შეიძლებოდა...

...ახალწვეულების თამაშს არ შევაფასებდი, მაგრამ ვთვლი, რომ ურიგო ფეხბურთელები არ არიან. რაც შეეხება ტლეხუბოვს — ის დიდი ხნის უთამაშებელია და ზურგის ტრავმაც აწუხებს. შესაძლოა, მეორე მატჩი ვერც ითამაშოს...

...შანსების მხრივ გარკვეული უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ამაზე ფიქრი ნაადრევია, წინ საპასუხო თამაში გველის.

**ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ**: ველოდით, რომ რთული მატჩი იქნებოდა, ყაზახეთში გახურებული ჩემპიონატია, ჩვენ კი, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შევქმენით. შეთამაშება აშკარად გვაკლდა...

...თამაშის მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც. მეტოქე ტაქტიკურად გამართული გუნდია, მაგრამ იქაც ვიბრძოლებთ და შევეცდებით, მომდევნო ეტაპზე გავიდეთ...

...რაც შეეხება ლაშა ქებაძის არყოფნას, მან გუნდი დატოვა, კახელიშვილის შემოყვანა კი მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. ცვლილებებიც ტაქტიკური მონახაზის გამო გავაკეთეთ. ჟოჟოვიჩი იმიტომ შევცვალეთ, რომ დაიღალა, ისევე, როგორც სილაგაძე. ჟოჟოვიჩმა პირველი ტაიმი კარგად ითამაშა, როდესაც ბურთი მას ჰქონდა თამაშს ამწვავებდა, შემდეგ კი დაიღალა და პასიურობდა. ტაქტიკურად კარგად გამოიყურებოდა აკუასაგა — ალბათ ნახეთ, მას არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია, რაც შეეხება მასუანვას, მას, უბრალოდ, დრო არ ეყო თავის გამოსაჩენად. ჩვენი დავალება იყო, მას შეტევაში ჯიქიასთან ერთად ემოქმედა, მაგრამ უკან იხევდა, ხედავდა, რომ ცენტრში ბურთი ვერ გვეჭირა...

...დღეს კატასტროფული არაფერი მომხდარა, გასვლით მატჩშიც ასე აქტიურად ვითამაშებთ და ალბათ გარკვეული ცვლილებებიც იქნება. შანსებს თანაბრად ვაფასებ.

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘ**

# ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ 21

## ᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲑᲔᲚᲮᲐᲢᲣᲕᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

„ᲐᲛᲔᲠᲘᲡ" ხვალინდელი მეტოქე პოლონური „გკს ბელხატუვი" გერმანული შეკრებიდან შინ შაბათს დაბრუნდა და უეფას თასის სადებიუტო მატჩისთვის ახლა საკუთარ სტადიონზე ემზადება.

ჩვენი პოლონელი კოლეგის დარიუშ კუროვსკის თქმით, „ბელხატუვის" სტადიონზე იდეალური მოედანია და ორდღიანი წვიმების შემდეგ საფარი რომ არ გაფუჭებულიყო, ორესტ ლენჩიკმა შეგირდები ცენტრალურ მოედანს მოარიდა და იქვე, სხვა მინდორზე ავარჯიშა. „ბელხატუვის" სტადიონი, რომელიც 6 800 მაყურებლისთვისაა, 60-ათასიანი ქალაქის განაპირა მდებარეობს და ქომაგთა ინტერესის გათვალისწინებით, ალბათ ბოლომდე შეივსება. „ბელხატუვი" — „ამერის" მატჩის ბილეთი ზლოტებში 8-15 ევროს ექვივალენტურია. ამჟამად კი სტადიონზე ბოლო მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

გუშინდელ „სარბიელშიც" ვწერდით, „ბელხატუვს" „ამერთან" მატჩამდე პრობლემები რომ მიეძალა და ეს ამბავი კუროვსკიმაც დაგვიდასტურა. პოლონელთა სამწუხაროდ, ლენჩიკი თბილისელთა წინააღმდეგ ვერ ათამაშებს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელ დავიდ ნოვაკს, გამთამაშებელს და გუნდის ლიდერ ლუკაშ გარგულასა და მარიუშ იეჟეკს. კუროვსკიმ გვითხრა ისიც, რომ მუხლის მცირე ტრავმა აწუხებს „ბელხატუვის" კაპიტან ედვარდ კეკოტს, ის გერმანული შეკრების ბოლო ვარჯიშისას დაშავებულა და ბელხატუვში დაბრუნებული ორი დღე უქმობდა. რაც შეეხება გერმანიაში „ბელხატუვის" ბოლო ამხანაგურ მატჩს, პოლონელებმა ბუქარესტის „სტიაუასთან" 2:2 ითამაშეს. ორივე გოლი „ბელხატუვის" ჰონდურასელმა ლეგიონერმა კარლო კოსტლიმ გაიტანა. ის თავისი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ივნისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ კონკაკაფის „ოქროს თასზეც" თამაშობდა.

აი, ასეთი ამბებია ბელხატუვიდან, სადაც „ამერი" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის სათამაშოდ დღეს ჩარტერული რეისით გაფრინდა, მცუდრო სასტუმრო „ვოლნიკში" დაბინავდება და ადგილობრივი დროით, შვიდის ნახევარზე „გკს ბელხატუვის" სტადიონზე ივარჯიშებს, ხვალინდელი მატჩიც სწორედ ამ დროს დაიწყება და პირდაპირ რეპორტაჟს ერთ-ერთი პოლონური ტელეარხი გადასცემს.

„ამერმა" ბელხატუვს 21 ფეხბურთელით მიაშურა. რატი წინამძღვრიშვილი და ბესიკ ჩიმაკაძე გუნდს ტრავმის, ხოლო არჩილ ალავიძე დისკვალიფიკაციის გამო დააკლდნენ. თუმცა ალავიძეს, რომელიც „ამერმა" ბოლნისის „სიონიდან" დაიმატა, „ბელხატუვთან" თბილისში თამაში შეეძლება...

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ



ბაჩანა ცხადაძე, კობა შალამბერიძე და მიხეილ კობაური

**ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ** გამგზავრებამდე ბოლო ვარჯიში „ამერმა" გუშინ საღამოს, საგურამოს ბაზაზე ჩაატარა, მერე სასტუმრო „მცხეთა პალასს" მიაშურა, საიდანაც წავიდა კიდეც აეროპორტში.

ვარჯიშის მერე კი გუნდის რამდენიმე ახალწვეულს გავესაუბრეთ და პირველ ამერულ შთაბეჭდილებებზე ვკითხეთ...

**ბაჩანა ცხადაძე**: „ძალიან კარგ გუნდში მოვედი. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის აქ ზრდის საუკეთესო პირობებია და დარწმუნებული ვარ, სწორი ნაბიჯი გადავდგი...

...რა თქმა უნდა, ვეცდები, გუნდს გამოვადგე. ჩეხური შეკრებისას მთავარი მწვრთნელი დიმიტრი ტატანაშვილთან წყვილში მათამაშებდა და მგონი, კარგადაც შევთამაშდით. იმ შეკრებაზე ერთი გოლიც გავიტანე."

**კობა შალამბერიძე**: „ამერის" ჩემით დაინტერესებაზე ადრეც იყო ლაპარაკი, თუმცა კლუბმა სერიოზული ინტერესი ამ ზაფხულში გამოიჩინა და აი, მეც აქ ვარ...

...ყველა რგოლში, ძალიან დიდი კონკურენციაა — ასევეა ჩემს პოზიციაზეც, ნახევარდაცვის ფლანგზე. მაგრამ კონკურენცია არ მაშინებს, ეს გუნდისთვისაც კარგია და პირადად ჩემთვისაც, უფრო მობილიზებული ვიქნები...

...ჩეხეთში, „სპარტასთან" და „კლადნოსთან" რამდენიმე საუკეთესო მომენტი ვერ გამოვიყენე. ერთი სიტყვით, ჩემს თავზე სამუშაო კიდევ ბევრი მაქვს."

**მიხეილ კობაური**: „ბევრ ამერელს აქამდეც კარგად ვიცნობდი, ამიტომ გუნდთან ადაპტაცია არ გამჭირვებია. არ ვთვლი, რომ ახლა საუკეთესო ფორმაში ვარ, მაგრამ აქაური სავარჯიშო პირობები და კონკურენცია ისეთია, თუ მოინდომებ, ფორმაში შესვლა არ გაგიჭირდება."

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ცხადაძე და კობაური „ამერში" „სიონიდან" მივიდნენ, შალამბერიძე კი ბოლოს „ბათუმში" თამაშობდა.

**ᲙᲝᲢᲔ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ**

# ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲛ ᲣᲔᲤᲐᲨᲘ ᲒᲐᲑᲝᲜᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲢᲐ

## ᲝᲕᲝᲜᲝ 12, ᲐᲙᲘᲠᲔᲛᲘ 26

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისის „დინამომ" საუეფასთასო განაცხადს ორი ახალწვეული დაამატა — გაბონელები, 24 წლის მეკარე დიდიე ოვონო და 25 წლის თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი, სავარაუდოდ, ხვალვე ლიხტენშტაინის „ვადუცის" წინააღმდეგ პირველად მოირგებენ „დინამოს" ლურჯ-თეთრ მაისურას. ორივე ფეხბურთელისთვის საჭირო საბუთები თბილისელებმა გაბონიდან გუშინ მიიღეს და ამათი მონაცემები მაშინვე უეფაში აფრინეს.

„დინამოსთვის" ამ ეტაპზე კვალიფიცირებული მეკარის დამატება მართლაც ერთი მისწრება იყო. სოსო გრიშიკაშვილმა, მოგეხსენებათ, გერმანული შეკრების დასაწყისში ივე ხელის თითი მოიტეხა და გუნდს ჩამოშორდა. „დინამოს" მეკარის პრობლემა არც იქამდე აკლდა და ამ ამბის შემდეგ მთლად გაუჭირდა. ახლა კი თბილისელები ამ გაბონელის იმედად არიან. როგორც ამბობენ, ოვონო საკმაოდ მაღალი კლასის მეკარეა და გერმანიაში გამართული ამხანაგური მატჩებისას გუნდი ბევრჯერ გადაურჩენია.

„დინამოდან" სანდრო იაშვილის წასვლის შემდეგ დუშან უჰრინს თავდამსხმელთა დეფიციტიც შეექმნა, მაგრამ ჟორჟ აკირემის ნახვის შემდეგ მეტ-ნაკლებად ალბათ ამ საქმესაც მოაგვარებს. აკირემი გონიერი ფორვარდია და ბევრ სასარგებლოს აკეთებს.



დუშან უჰრინი

მოკლედ, უკვე ძველი დინამოელების, ნედ ზელიჩის, მილოშ კრშკოსა და ილია სპასოევიჩის გარდა, თბილისელები „ვადუცს" ორ შავკანიან ფეხბურთელსაც დაახვედრებენ და ვნახოთ, რით გაგვახარებენ.

დიდიე ოვონო „დინამოში" მე-12 ნომრით ითამაშებს, ხოლო ჟორჟ აკირემი 26 იქნება.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა არველაძე მსოფლიოში მესამეა დღეს ლევანტე გაფორმდება



**შოთა არველაძე** მსოფლიოს მოქმედ ფეხბურთელთა შორის უმაღლეს ლიგებში გატანილი გოლებით მესამე ადგილზეა.

დიახ, არველაძე 426 მატჩში გატანილი 263 გოლით მესამეა, პირველ საფეხურზე კი, ცხადია, ბრაზილიელი რომარიოა, ვისაც 612 თამაშში 489-ჯერ გაუტანია, მეორეზე კი გვატემალელი ხუან კარლოს პლატა გახლავთ 482 შეხვედრაში 277 ბურთით.

რომარიო გასაგებია, აი, პლატაზე კი რა გითხრათ — სად გვატემალის ჩემპიონატში ბომბარდირობა და სად შოტლანდიაში, ჰოლანდიაში და თურქეთში...

ამასობაში კი, შოთას ესპანურ „ლევანტეში" გადასვლა საბოლოოდ გადაწყდა — ჩვენიანმა გუშინ ჰოლანდიური „ალკმაარისგან" გათავისუფლების ფურცელი მიიღო და დღეს ესპანეთის დროით, თორმეტის თხუთმეტ წუთზე ვალენსიაში იქნება.

შოთას, როგორც „ლევანტეს" ახალ ფეხბურთელს, კლუბის პრესდარბაზში ოფიციალურად წარადგენენ. ქართველი ბომბდამშენი 1+1-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

**ილია ნანობაშვილი**



იენის „კარლ ცაისში" გიორგი ონიანის, გიორგი სეთურიძის და ილია კანდელაკის გადასვლა ოფიციალურად გადაწყვეტილია. აი, რევაზ ბარაბაძეს კი ჯერ ცდა უნევს. ქართველმა თავდამსხმელმა „კარლ ცაისის" ორ ტესტ-მატჩში ითამაშა, და ერთ-ერთ ქვედალიგელთან 9:3 მოგებულ თამაშში ორი გოლი გაიტანა. რევაზ ბარაბაძეს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...

# ბარაბაძის იენური იმედი
## სათადარიგოთა სკამზე ჯდომა რომ მდომოდა, უკრაინიდან არ წამოვიდოდი

— პირველ თამაშში ორი გოლი გავიტანე. კიდევ მქონდა შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოვიყენე. მომენტები მეორე თამაშშიც შემექმნა, რომელიც 1:1 დასრულდა. ორჯერ ამილო მეკარემ, მათ შორის, ერთხელ პირისპირ გასვლისას. ამ მატჩში მხოლოდ ერთი ტაიმი ვითამაშე.

— ჯერ ისევ გასინჯვაზე ხარ თუ გადაწყვეტილია შენი კონტრაქტის ამბავი?

— გასინჯვაზე ვარ. 18 ივლისს ჰოლანდიის მეორე დივიზიონის ერთ-ერთ გუნდს ვეთამაშებით და ალბათ ამის მერე გადაწყდება ყველაფერი. სავარაუდოდ, დადებითად.

— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევს?

— მწვრთნელთან არ მისაუბრია, მაგრამ ვატყობ, რომ მოვწონვარ. თან თავისუფალი აგენტი ვარ და თუ გუნდი ამიყვანს, ჩემში თანხის გადახდა არ მოუწევს.

— ფრანკ ნოიბარტი ინტერვიუბში ხშირად ახსენებს თავდამსხმელის პრობლემას...

— თავდამსხმელები ისედაც ჰყავთ და გასინჯვაზეც არიან, მაგრამ გამოკვეთილი ცენტრფორვარდი მხოლოდ ორნი ვართ.

— „დნიპროდან" წამოსვლის მიზეზი რა იყო?

— მიზეზი ბევრი იყო, პირველ რიგში უთამაშებლობა. ჩემი მიზანი მოედანზე ყოფნა და გოლების გატანაა.

— უკრაინაში გარკვეულ გამოცდილებას მაინც მიიღებდი...

— ამის მხრივ საწუწუნო არაფერი მაქვს, ძირითად გუნდთან ვვარჯიშობდი და საკმაოდ ძლიერ ფეხბურთელებთან მიხდებოდა თამაში, მაგრამ... იმედი მაქვს, გერმანიაშიც სათადარიგო არ ვიქნები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მარცვალაძე დემემ შეაჩერა



**ოთარ მარცვალაძის** კიევის „არსენალში" გადასვლა გამოირიცხა. თვითონ ფეხბურთელმა თქვა, კიევის „დინამოსა" და „არსენალს" შორის მოლაპარაკებები წარმატებით ვერ დასრულდა, არადა, „მეთოფეებში" გადასვლა მსურდა, სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდებოდაო.

უკრაინული პრესა წერს, პარადოქსია, მაგრამ მარცვალაძის „არსენალში" წასვლას მისივე თანამემამულე გიორგი დემეტრაძემ შეუშალა ხელიო. როგორც იცით, დემე უკვე „მეთოფეთა" ფეხბურთელია და პირველ ტურში დებიუტიც ჰქონდა.

სავარაუდოდ, მარცვალაძე მაინც არ დარჩება კიევის „დინამოში", რადგან იქ სათადარიგოთა სკამის იქით პერსპექტივა აღარ ჩანს.

**ილია ნანობაშვილი**

# ვნახეთ ახლები, გვახსოვს ძველები

**როგორც** ჩანს, გიორგი ონიანის, გიორგი სეთურიძის და ილია კანდელაკის ტრიომ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო მწვრთნელებზე, არამედ ახალგაცნობილ თანაგუნდელებზე. თუმც ქართველთა სიმპათია კარლცაისელთა ახლებზე ადრე გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიასაც რგებიათ, რაზეც „კარლ ცაისის" ფეხბურთელ ტორსტენ ცინგერის ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამიც ადასტურებს: „ქართველებმა კარგად წარმოაჩინეს თავი, როგორც საფეხბურთო მომზადებით, ასევე პიროვნულად, თუმც ჩვენ კარგად გვახსოვს ლომაია და აშვეთია. ისე, ჩვენც კარგად დავხვდით მათ და დავმეგობრდით კიდეც".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოკომოტივი ჩამოვიდა, ყენია ვეღარ ჩავიდა



**თბილისის** „ლოკომოტივი" ოთხი დღის წინ ჩამოვიდა ურეკიდან და დილომში, თავის ბაზაზე ვარჯიშობს.

გიორგი კიკნაძის გუნდს ბოლო დღეებში ახალი ფეხბურთელი არ დამატებია და მწვრთნელმა გვითხრა, სავარაუდოდ, ამ შემადგენლობით დავიწყებთ ჩემპიონატსო.

ვაკელებს დღეს ტესტ-მატჩი აქვთ, საღამოს „ლოკომოტივის" ბაზაზე „ვიტ ჯორჯიას" მეორე გუნდს ხვდებიან.

რაც შეეხება ლევან ყენიას: 16 წლის შემტევის გელზენკირხენის „შალკეში" გადასვლას კვლავ საბუთები აფერხებს, ეს პრობლემა ვერა და ვერ მოგვარდა.

ყენია ახლა „ლოკომოტივთან" ერთად ვარჯიშობს და არაა გამორიცხული, ახალი სეზონიც ამ გუნდში დაიწყოს — ეს იმ შემთხვევაში, თუ საბუთების პრობლემა გაიწელება.

**ილია ნანობაშვილი**

# კახა ალადაშვილის დინამო და მოსკვა

**კიევის** „დინამოს" ქართველების, ოთარ მარცვალაძის, დავით იმედაშვილის და კახა ალადაშვილის საქმე ჯერ ისევ გაურკვეველია.

იმედაშვილს რამენსკოეს „სატურნის" ვარიანტი ჩაეშალა, მარცვალაძეს — კიევის „არსენალი".

გაჯანჯლებულია ალადაშვილის ამბავიც — ჩვენებურს ისევ რუსეთის ვიზის პრობლემა აქვს და დღე-დღეზე ელოდება.

არაოფიციალური ინფორმაციით, ალადაშვილს მოსკოვის „დინამოსა" და „მოსკვას" ვარიანტები აქვს.

**ოთარ მხეიძე**

# გრიგალაშვილი ისევ ბორჯომში

**„ბორჯომმა"** რომ ზვიად სტურუა და ლევან აკობია ინათხოვრა, გუშინ ვწერდით.

კურორტელთა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ გვითხრა, „დინამოდან" კიდევ ვაპირებთ სამი ფეხბურთელის დამატებას, ერთ-ერთი მათგანი კი შოთა გრიგალაშვილი იქნებაო.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშევმა გრიგალაშვილმა წინა სეზონის მეორე წრეც „ბორჯომში" გაატარა, მანამდე კი გერმანიის მეორებუნდესლიგელ აუე-შიც იყო გასინჯვაზე, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ვინ აგიჟებს დევიდ ბექემს?

**ვინ და**, სავარაუდოდ, მისი მეგობრები ინგლისის ნაკრებიდან: ჯონ ტერი, ჯო კოული და ფრენკ ლამპარდი.

ძნელი მისახვედრი არ გახლავთ, გარდა ბექემის თანანაკრებელობისა, კიდევ რა საერთო აქვს ზემოჩამოთვლილ სამ ინგლისელს — ისინი „ჩელსის" ფეხბურთელები არიან.

ახლა გავყვეთ: „ჩელსი", მოგეხსენებათ, სეზონისწინა შეკრებას ამერიკაში გადის, ხოლო დევიდ ბექემი ამერიკულ „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადავიდა და ახალ გუნდში უკვე ვარჯიშობს. ამასთან, შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექემს ახალ გუნდში პირველი თამაში ჯერ არ ჩაუტარებია და ეს თამაში კვირას სწორედ „ჩელსის" წინააღმდეგ უნდა გაიმართოს, ასე რომ, წრე შეიკრა.

თუ ასეა, მაშ ისიც ვთქვათ, ბექემის გაგიჟება რა შუაშია და როგორ უნდა. როგორ და, ეს სამი დამდგარა და თავიანთ ყოფილ კაპიტანს მესიჯებს უგზავნიან, ესე გიზამთ და ისე გიზამთო, ის კი, თურმე, როგორც ამბობენ, ბრაზდება.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ინგლისურ პრესას გაახსენდა, რომ ბექზმა ესტონეთთან სანაკრებო შეხვედრაში — 6 ივნისის ამბავზეა ლაპარაკი — ტრავმა მიიღო და ერთი ამბავი ატეხა, ის ტრავმა ჩვენს ბიჭს დღემდე აწუხებსო. სხვათა შორის, იმ ესტონეთთან თამაშის შემდეგ ბექზმა „რეალის" შემადგენლობაში საუცხოოდ ითამაშა და ესპანეთის ჩემპიონი გახდა, მაგრამ მაშინ და მას მერე ეს ტრავმა აღარავის გახსენებია, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია — ინგლისელები, როგორც ნამდვილი პატრიოტები, როგორც ჩანს, თავიანთ ბიჭს მთელი პრესით უჭერენ მხარს და თავსაც იზღვევენ, თუ ცუდად ითამაშებს, 6 ივნისის, დიდი ხნის დავიწყებული, მაგრამ ჯერაც მოურჩენელი ტრავმის ბრალი იქნებაო.

აღსანიშნავია, რომ დევიდმა „ლოს ანჯელეს გალაქსისთან" ერთად რამდენიმე წუთით წაივარჯიშა, რასაც ათასობით გულშემატკივარი დაესწრო, რის შემდეგაც დანარჩენ ფეხბურთელთა ჯგუფს გამოეყო და თავისთვის მოემზადა.

„ბიჭები შაყირობენ — უთხრა მავანმა გათვითცნობიერებულმა „სანის" ჟურნალისტებს — ხუმრობა დევიდსაც ესმის და იცის, რომ აქ ბოროტი არაფერია. ყოველ შემთხვევაში, დევიდი ასე ფიქრობს".

მეორე მხრივ, მესიჯების ამბავი რომ გაიგეს, ამერიკელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, იქნებ, ბექემი მართლა იმდენად ძლიერია, რომ მის წინააღმდეგ თამაში უხეშობისა და მისი მწყობრიდან გამოყვანის გარეშე შეუძლებელია და ეს ტრიოც, რასაც წერს, სერიოზულად წერსო. ერთი სიტყვით, დევიდს მასზე ნადირობის ამბები გამოჰკითხეს.

„მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში ვილაცის სამიზნე ვარ — უპასუხა ბექემმა — იმედი მაქვს, ჩემი ახალი თანაგუნდელები მხარში ამომიდგებიან და ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ".

**ბაბუნა ძედია**

# არსენალს გამოვაკლოთ არსენი? თუ თქვა, ესე იგი, ასეა



**„არსენალის"** თავმჯდომარემ პიტერ ჰილ-ვუდმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ „მეთოფეებს" ტიერი ანრის წასვლა არ დააზარალებს.

აღსანიშნავია, რომ ბატონ ჰილვუდს აქამდე ანრის 16 მილიონ გირვანქად „ბარსელონაში" სრულიად მოულოდნელ გადასვლაზე სიტყვაც არ დასცდენია. ეს მისი პირველი კომენტარი გახლავთ:

„მოვაბამთ თუ არა, ანრის გარეშე ჩვენს საქმეს თავს? რასაკვირველია, მოვაბამთ — თქვა უფალმა თავმჯდომარემ — მისი წასვლა, რა თქმა უნდა, დიდი დარტყმაა, მაგრამ „არსენალიდან" დიდი ვარსკვლავები ადრეც წასულან. წასულა იან რაიტი, ტონი ადამსი და ბევრი სხვა, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა. კლუბი თუ ადამიანი ყოველთვის წინ უნდა ისწრაფვოდეს. მწამს, დღევანდელზე უკეთეს დღეში არასდროს ვყოფილვართ. დარწმუნებული გახლავართ, რომ დღევანდელი „არსენალი" აშკარად უმაღლესი კლასის გუნდია".

მოკლედ, დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ ჰილ-ვუდს ტიერი ანრის დასატოვებლად თავი არ მოუკლავს, სამაგიეროდ, როგორც ლონდონური წყაროები ამბობენ, ის ყველა ღონეს ხმარობს, რათა მწვრთნელი არსენ ვენგერი შეინარჩუნოს.

„ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ არსენ ვენგერი „არსენალში" დარჩება. ამასწინათ, ჩვენ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა და, ვფიქრობ, ეს საუბარი ძალიან კარგად წარიმართა. ვიმედოვნებ, რომ დიდი ხანი არ გვაშორებს იმ დღეს, როდესაც პირდაპირ განვიცხადებთ: ვენგერი ჩვენთან რჩება!"

მაგრამ თავმჯდომარის ამ ნათქვამთან ერთად გავრცელდა სესკ ფაბრეგასის ნათქვამიც, თითქოს, ანრის „ბარსელონაში" გადასვლამ ვენგერსაც გაუღო კატალონიის კარი და ფრანგი გაისად თავისი აღზრდილის გზას დაადგება.

„არსენი ჯენტლმენია — თქვა 20 წლის ესპანელმა ფეხბურთელმა — ყველაფერი, რასაც ის ამბობს, გულწრფელია და მასში სიცრუის ნასახი არ არის, ასე რომ, დამიჯერეთ, ვენგერი გაისად ამ დროს, „ბარსას" თავკაცად დაინიშნება".

**ბაბუნა ძედია**

## ბენიტესმა ველოზო ამხილა

**„ლივერპულის"** მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა უარყო ცნობა ამანტინო მანსინის შესაძლო ყიდვის თაობაზე. ცნობა კი ბრაზილიელის აგენტმა ჟილმარ ველოზომ გუშინწინ გაავრცელა, თითქოს „ლივერპული" მანსინის ეპატიჟება და უფრო მეტ ხელფასსაც სთავაზობს, ვიდრე „რომაში" აქვს.

„მე წავიკითხე ეს ამბავი და ვაცხადებ, რომ მანსინის შეძენას არ ვაპირებთ" — თქვა ბენიტესმა.

## არწივი კარდოზო

**„ნიუელს ოლდ ბოისის"** პარაგვაელი ფორვარდი ოსკარ კარდოზო ლისაბონის „ბენფიკაში" გადავიდა.

„ვიმედოვნებ, რომ ქომაგები გულით მიმიღებენ — თქვა 24 წლის თავდამსხმელმა — ვეცდები, ბევრი გოლი გავიტანო და მათი სიყვარული დავიმსახურო".

პორტუგალიური მედიის ცნობით, კარდოზოში „არწივებმა" 9 მილიონი ევრო გადაიხადეს.

## ძმის მკვლელი

**უგანდაში**, „კოპა ამერიკას" ფინალისას ძმამ ძმა მოკლა. ქალაქ კამპალას პოლიციის პრესმდივნის განცხადებით, სემი და მოზესი ერთად უყურებდნენ ფეხბურთს. არგენტინის ქომაგმა მოზესმა ტელევიზორი გამორთო, როცა ბრაზილიამ მეორე გოლი გაიტანა, რის გამოც ძმებს შორის ჩხუბი ატყდა და მამამ ძლივს გააშველა. მატჩის შემდეგ არგენტინის ფანი თავის სახლში წავიდა, მაგრამ სემი დაეწია და დანით სასიკვდილოდ დაჭრა.

## გონსალესი პორტუმ ითხოვა

**არგენტინელი** ნახევარმცველი მარიანო გონსალესი „პორტუმ" მილანის „ინტერიდან" ერთი წლით წაიყვანა.

ფეხბურთელი „პალერმოს" ეკუთვნის და წინა სეზონში მილანურ კლუბში იყო განათხოვრებული. 26 წლის გონსალესმა „შავ-ლურჯებში" თავი ვერ გამოიჩინა და ამიტომაც გაუშვეს.

იგი „პალერმომ" 2004 წელს არგენტინული „რასინგიდან" იყიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბაკიდან ჟოზეს აწვეთავს?



ისევ ძველი თემა, ოღონდ ახალი ვარიაციით: ჯონ ტერისა და ფრენკ ლამპარდის ახალი კონტრაქტები საჩქარო არ არისო, ამბობს „ჩელსის“ თავმჯდომარე ბრიუს ბაკი.

ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ორივე ვარსკვლავს ძველი ხელშეკრულების მიხედვით, ორი წელიწადი აქვს ლონდონში დარჩენილი. ამასთან, გულშემატკივრები შიშობენ, რომ მათ შეიძლება გუნდი დატოვონ — ლამპარდს დიდი საცდუნებელიც აქვს, „ბარსელონა“, კაპიტანი ტერი კი თავის ვარიანტებს განიხილავს და პრიორიტეტი ჯერ არ გამოუკვეთია.

ცნობილი გახდა, რომ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ კლუბის ხელმძღვანელებს სთხოვა, ორივე ვარსკვლავის ამბავი, რაც შეიძლება, სწრაფად გაერკვიათ, მაგრამ ზემოხსენებულმა ბაკმა განაცხადა, რომ საპანიკო აბსოლუტურად არაფერია: „იმედი მაქვს, ყველა კონტრაქტის ამბავს სრულიად მშვიდად მოვაგვარებთ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს ხელშეკრულებები ყოველდღიური მუშაობის საგანს არ წარმოადგენს. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ტერისა და ლამპარდთან მოლაპარაკების გარეშე დღეს არ ვუშვებთ. ნამდვილად ვერ ვხედავ მოვლენათა დაჩქარების მიზეზს. მთავარია, ყველაფერი სწორად და გააზრებით გაკეთდეს. გასაგებია, როდესაც ამა თუ იმ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ორი წელიწადია დარჩენილი, სასურველია, ამ ფეხბურთელთან ახალი ხელშეკრულება გააფორმო, რითაც ჯერ ერთი, მას დაიბევებ და აჩვენებ, რომ ის შენთვის საჭიროა, მეორეც, სატრანსფერო ბაზარზე ფასს შეუნარჩუნებ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხსენებული ახალი კონტრაქტი ზუსტად ორ წლით ადრე უნდა გაფორმდეს. ის შეიძლება გაფორმდეს წლითა და ათი თვით ადრე ან რომელიმე სხვა დროს. მოკლედ, ჩვენ ყველაფერს მივხედავთ, მაგრამ სიტუაცია ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ბოლო ვადის წინაშე ვდგავართ...

...ახლა, რაც შეეხება ჟოზეს თხოვნას. მინდა გითხრათ, რომ სულაც არ არის აუცილებელი, კლუბის დირექტორატსა და ჟოზეს შორის ყოველდღე, აბსოლუტურად ყველა საკითხის გარშემო თანხმობა იყოს. აქ მთავარი ერთმანეთის აზრთა მოსმენა და ერთობლივი ძალისხმევით, საერთო საქმის წარმატებით კეთებაა. ჩვენთან, „ჩელსიში“ ყველა მხარემ იცის მეორის ძალა და ჟოზეც ძალიან კმაყოფილია რომანთან თანამშრომლობით“.

ცნობისთვის: ხსენებული რომანი, ანუ „ჩელსის“ მეპატრონე, რუსი გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი უკვე ოთხი წელიწადია, „ლურჯებს“ უძღვება და ეს „იუბილე“ კლუბის დირექტორატს დიდ იმედს უსახავს, რომ მომავალი კიდევ უფრო დიდი და დაუსრულებელი წარმატებების მომტანი იქნება.

ბაკმა კლუბის ახალ [illegible]რად ავრაამ გრანტის მისვლაზეც ილაპარაკა. გრანტის ვინაობაზე „სარბიელმა“ საკმაოდ ისაუბრა და ამჯერად ყველაფრის გამეორება უადგილოდ მიგვაჩნია. მხოლოდ ერთს ვიტყვით, რომ გრანტი თავის დროზე ისრაელის ნაკრების მწვრთნელი იყო, შემდეგ კი ამავე ქვეყნის სხვადასხვა გუნდებს წვრთნიდა.

„არა მგონია, გრანტის „ჩელსიში“ მოსვლა ჟოზეს რაიმე ხიფათის წინაშე აყენებდეს და არა მგონია, საკუთრივ ჟოზესაც არ ესმოდეს ამ კაცის მნიშვნელობა და საჭიროება. ჩვენ, უბრალოდ, ვიგრძენით, რომ „ჩელსის“ სტრუქტურას რაღაც აკლდა და მთელი საფეხბურთო სისტემის რაღაცნაირი კოორდინაცია იყო საჭირო. ერთი სიტყვით, რასაც ვაკეთებთ, გრძელვადიანი პროგრამის ნაწილია, ერთწლიანი გეგმა არ გეგონოთ. ჩვენ, ფაქტობრივად, ლონდონური დინასტიის შექმნა გვინდა და ავრაამი ამ საქმეში დიდ როლს ითამაშებს.

რაც შეეხება ტრანსფერებს, ეს, ბუნებრივია, ჟოზეს ეხება, თუმცა ამავე საქმეში სხვა ადამიანებს ფული აქვთ ჩადებული. სხვათა შორის, რომანს არასოდეს უთქვამს, რომ სალარო დახურულია“.

**ბაკუნა ქედია**

# პრ[illegible]ი დიდიე!
## თუ ფული გაქვთ, წამოვალ

დაე, „ჩელსის“ ყველა ქომაგმა გაოცებისგან პირი დააღოს ან თმა დაუდგეს ყალყზე — დიდიე დროგბამ ამ გაგანია მოსამზადებელ პერიოდში განაცხადა, ვინმე კარგი წინადადებით თუ მომმართავს, რატომაც არ წავალ, ვითომ რაო...

და, რა ვიცით მისი მსურველების შესახებ? ის, რომ ისინი ჯაბანნი არ არიან. დავასახელოთ, მაგალითად, „ბარსელონა“, „პორტუ“ და შედარებით ნაკლებ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მაინც რეალური „მილანი“.

აი, 29 წლის კოტდივუარელი ვარსკვლავის ციტატა:

„ვითარება დღესაც კი არ გახლავთ გარკვეული. მართლა კარგმა წინადადებამ, შესაძლოა, სასწორი ამა თუ იმ კლუბის მხარეს გადაწონოს. გავიგე, რომ ჩემით „ბარსა“, „პორტუ“ და სხვანი დაინტერესებულან, თუმცა თავად ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. საერთოდ, სეზონი ისე არ გავა, რამდენიმე შემოთავაზება არ მომაყარონ, მაგრამ მე, როგორც პროფესიონალი, ყველაფერს სერიოზულად ვწონი. უპირველეს ყოვლისა, კარიერას ვუფრთხილდები, შემდეგ კი ოჯახის მოთხოვნებსაც ვითვალისწინებ...

...ჩემი სურვილი ინგლისში დარჩენა, შარშანდელი შეცდომების გამოსწორება და ტიტულების აქ მოგება გახლავთ, მაგრამ თუ ვინმე ფულით დამაინტერესებს, შესაძლოა, ჩემი პირადი სურვილი და განწყობა უკანაც გადავწიო“.

„ჩელსის“ პორტუგალიელი თავკაცი ჟოზე მაურინიუ, ბუნებრივია, ყველა ღონეს იხმარს, რათა არ დაუშვას დროგბას სადმე წასვლა. ხუმრობა ხომ არ არის, გასულ სეზონში სპილოს ძვლის ნაპირელმა 33 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, გასული წლის ნოემბერში მანვე მოაწერა ლონდონელებთან ახალ კონტრაქტს ხელი, რომლის თანახმადაც, კიდევ ოთხი წლის განმავლობაში ყოველკვირეულად 90 ათასი გირვანქა უნდა აიღოს, მაგრამ ზემოთ „მილანიც“ ვახსენეთ, რომელსაც თავდამსხმელის ეს ნათქვამი გუნდიდან შესაძლო წასვლის შესახებ, ყურს კარგად მოხვედრია.

ერთი სიტყვით, მილანელებმა განაცხადეს, რომ ამ ზაფხულს ტოპკლასის თავდამსხმელის ყიდვას აპირებენ და ერთ-ერთი მათგანი სიამოვნებით იქნებოდა დიდიე დროგბა.

„მოედანზე ყოველთვის ასი პროცენტით ვიხარჯები — თქვა დროგბამ „შავ-წითელთა“ და ალბათ ყველას გასაგონად — მაგრამ თუ შევატყობ, რომ გუნდს სათადარიგოთა სკამისთვის ვუნდივარ, არ გაჭირდები“.

**ბაკუნა ქედია**





# ჰაინცე 43 წლის შემდეგ

**არგენტინელი** გაბრიელ ჰაინცე, შესაძლოა, „ლივერპულში“ აღმოჩნდეს... სამი წერტილი რატომ დავსვით? იმიტომ, რომ ინგლისური ფეხბურთის ამ ორ კონკურენტს შორის ტრანსფერი ბოლოს 1964 წელს განხორციელდა — ეს გახლდათ კრის ჩისნალის ტრანსფერი.

მართალი რომ ვთქვათ, „ლივერპულის“ ესპანელი თავკაცი რაფა ბენიტესი შიშობდა, რომ მისი მანჩესტერელი კოლეგა ალექს ფერგიუსონი კონკურენციის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჰაინცეს „გაწითლებას“ ყოველ მხრივ შეუშლიდა ხელს, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, არგენტინელს იუნაიტედელები დაჰპირდნენ, რომ ნებისმიერ კლუბში გაუშვებდნენ, რომელსაც კი ხელს დაადებდა.

ინგლისური პრესის თანახმად, ალექს ფერგიუსონმა ამ ზაფხულზე უკვე დახარჯა 50 მილიონი დოლარი და ამ თანხის ნახევარი მაინც კიდევ სჭირდება — ნუ დავივიწყებთ, რომ სერ ალექსს „მანჩესტერში“ ჰაინცეს თანამემამულე კარლოს ტევესი ჰყავს გადასაყვანი, ანუ ფული სჭირდება.

**ბაკუნა ქედია**

## ჰარვუდი რეოს დაეწია

**„ასტონ ვილამ“** „ვესტ ჰემიდან“ მარლონ ჰარვუდი იყიდა 3 მილიონ 500 ათას გირვანქად. ფორვარდმა ბირმინგემულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ნაიჯელ რეო-კოკერს შეუამხანაგდა, რომელიც ასევე „ჩაქუჩებიდან“ გადავიდა „ასტონ ვილაში“.

ჰარვუდმა 2005-06-ის სეზონში 16, ხოლო გასულ სეზონში 4 გოლი გაიტანა.

## მეოთხე შავი კატა

**ინგლისელი** ნახევარმცველი კიერონ რიჩარდსონი „მანჩესტერიდან“ „სანდერლენდში“ გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფასი უცნობია. 22 წლის ფეხბურთელი მეოთხე შენაძენია „შავი კატებისა“, რომლებიც როი კინის თავკაცობით პრემიერლიგაში დაბრუნდნენ. რიჩარდსონამდე გუნდში გრეგ ჰალფორდი, რასელ ანდერსონი და მაიკლ ჩოპრა მივიდნენ.

# მილანი კვლავ ფორვარდს ეძებს
## ვინ არის მეექვსე?



**იტალიური** „მილანი“ კვლავ თავდამსხმელით გაძლიერებას ლამობს, რაც კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა.

„მინდა, გითხრათ, რომ ჩვენი თავდასხმა ახლაც ძალიან ძლიერია — ალბერტო ჯილარდინო, ფილიპო ინძაგი, რონალდო და კაკა გვყავს... თუმცა კიდევ ერთი ნამდვილი ჩემპიონის დამატება გვინდა. არ მინდა, კანდიდატების სია საჯაროდ გამოვაქვეყნო“ — აღნიშნა გალიანიმ.

„როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა კანდიდატების ვინაობის დამალვა კი სცადა, მაგრამ იტალიური პრესისა და, ზოგადად, საფეხბურთო სამყაროსთვის ყველაფერი ცნობილია — დიდიე დროგბა, ანდრეი შევჩენკო, სამუელ ეტოო, რონალდინიო ან ალეშანდრე პატო...

ადრიანო გალიანი: „რაჰან არ იშლით, ვადასტურებ, რომ ეს ხუთი ფეხბურთელი ჩვენს სიაშია, მაგრამ არის მეექვსეც, რომლის ვინაობასაც არაფრით გაგიმხელთ“.

ესპანური პრესა კი გვაუწყებს, „შავ-წითლების“ სიაში პირველი კვლავ ეტოოა და კამერუნელში მილანელები „ბარსელონას“ 42 მილიონ ევროს უხდიან, ხოლო თავად კამერუნელს სეზონში 6 მილიონს ჰპირდებიანო.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ფორლანი ტორესს ვერ ასცდა



AFP

**დიეგო ფორლანს** გუშინ ოფიციალური პრეზენტაცია ჰქონდა — იგი ამიერიდან მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელია.

— „ატლეტიკო“ დიდი წარსულის მქონე მნიშვნელოვანი კლუბია და აქ მოსვლა ჩემთვის სპორტული გამოწვევა იყო, რასაც სიამოვნებით ვიღებ. ვეცდები, ჩემი საქმე ასი პროცენტით შევასრულო და არ დავაღალატო გულშემატკივრები, რომლებიც მენდობიან — განაცხადა ურუგვაელმა.

ფორლანი „ატლეტიკოში“ მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში ითამაშებს. ურუგვაელმა ფეხბურთელმა აღნიშნა, გუნდიდან ფერნანდო ტორესის წასვლის შემდეგ ხალხის ყურადღება ჩემკენ იქნება მომართულიო.

„შედარებებს ვერ გავექცევით. მე და ფერნანდო სხვადასხვა სტილის მოთამაშეები ვართ. ჩემთვის ზოგი დღე იღბლიანია, ზოგიც — არა, თუმცა ყოველთვის ვცდილობ, მოედანზე მაქსიმალურად მობილიზებული გავიდე“ — თქვა დიეგომ.

და ცხადია, გოლები. ფორვარდი ფანობას ბევრ გოლს დაჰპირდა: „ლა ლიგა რთული ტურნირია, აქ მხოლოდ ძლიერები იმარჯვებენ და მინდა, მადრიდის „ატლეტიკოც“ ერთ-ერთ ასეთ ძლიერ გუნდად ვიხილო. რაც ფორლანს მოეთხოვება, იმას გავაკეთებ— ბევრ გოლს გავიტან... რაოდენობას წინასწარ ვერ შეგპირდებით“.

**ლადო ხომერიკი**

# კიელინი მკვლელია?

**ტურინის** „იუვენტუსი“, შესაძლოა, ჯორჯო კიელინის გარეშე დარჩეს — პერსპექტიული მცველი კლუბის ხელმძღვანელობის უყურადღებობითაა უკმაყოფილო და წასვლაზე ფიქრობს. მისი მსურველი რამდენიმე გუნდია, ინგლისური „ლივერპულის“ თამადობით.

„ჩემთან დაკავშირება არავის უცდია. ხელმძღვანელობა ვარსკვლავებთან კონტრაქტის გახანგრძლივებით იყო დაკავებული და ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ ახალგაზრდა მოთამაშეების არაფრად ჩაგდება სწორი არ არის. შესაძლოა, მომავალ სეზონში მხოლოდ 30 პროცენტით მომეცეს თამაშის საშუალება, რაც არ მაკმაყოფილებს. რამდენიმე წინადადება მივიღე, მაგრამ, სამწუხაროდ, კონკრეტული გეგმა არავის წარმოუდგენია“ — განაცხადა კიელინიმ.

ამბობენ, „ლივერპული“ მზად არის, „აძურინის“ კაპიტანში 7,5 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ „იუვენტუსი“ 10,5 მილიონს ითხოვსო.

კიელინის კომენტარით უკმაყოფილო დარჩა „შავ-თეთრების“ მწვრთნელი კლაუდიო რანიერი: „გუნდის ერთიანობა ბევრს ნიშნავს და სამწუხაროდ, კიელინიმ თავისი კომენტარებით მას ზიანი მიაყენა. მესმის რომ, შესაძლოა, იგი რაღაცით უკმაყოფილო იყოს, მაგრამ ეს გუნდის შიგნით უნდა რჩებოდეს. ალესანდრო დელ პიერო ყველასთვის სამაგალითო უნდა იყოს. მაშინ მან რაღა თქვას? კიელინის რომ მუნდიალი მოეგო, საერთოდ რას გვიზამდა, მოგვკლავდა? რაც შეეხება დელ პიეროს, მას ახლა მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ იმედია, მალე მომჯობინდება, ყველანი ვეხმარებით. იგი თავისი თავის საუკეთესო ექიმია და სურს, 100 პროცენტით მზად იყოს“.

პარალელურად, „იუვენტუსში“ გადასვლით აღფრთოვანებას ვერ მალავს ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილი მცველი ზდენეკ გრიგერა. ჩეხი ტურინელებმა მისი თანამემამულისა და ტურინელთა ვეტერანი ლიდერის პაველ ნედვედის რჩევით იყიდეს.

— „იუვენტუსისადმი“ ინტერესი საოცარია. იტალიელი ფანები ძალიან თბილები და ინტერესიანები არიან, რაც მახარებს. ყოველთვის ვოცნებობდი ასეთ დიდ კლუბსა და სერია A-ს მსგავს ბრწყინვალე ჩემპიონატში თამაშზე. მომწონს იტალია, როგორც ქვეყანა, აქაური ხალხი, ამინდი, საჭმელი და ყველაფერი. თავს აქ ჩინებულად ვგრძნობ“ — განაცხადა გრიგერამ.

**გიორგი ძაძაგაძე**



ჯორჯო კიელინი

# ლანა ამოვიდა

**სერია B-ში** გავარდნილი „კიევოდან“ სალვატორე ლანა სერია A-ში დაბრუნდა — „ტორინოში“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 30 წლის მცველმა „მფრინავ ვირებში“ 11 სეზონი შეალია და 300-ზე მეტ მატჩში ითამაშა.

„ტორინომ“ ლანამდე დავიდე დი მიკელე, ვინჩენცო გრელა, ეუჯენიო კორინი და საშა ბიელანოვიჩი იყიდა.

# ნუ გამაგდებთ!

**ტრანსფერზე** დაყენების მიუხედავად, ვალერი ბოჟინოვს „ფიორენტინაში“ დარჩენა უნდა.

გასულ სეზონში ბულგარელი ფორვარდი „იუვენტუსში“ იყო განათხოვრებული და ამ ზაფხულს „იებში“ დაბრუნდა. ორი დღის წინ კლუბმა გასაყიდთა სიაში შეიყვანა, რადგან ფეხბურთელმა კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა.

„გაშვებას მიპირებენ, მე კი დარჩენა და გოლების გატანა მსურს „ფიორენტინას“ მაისურით. ვიცი, რომ ფანების უმეტესობას გულზე არ ვეხატები, მაგრამ თუ დამტოვებენ, დავამტკიცებ, რომ თამაშის ღირსი ვარ“.

# მარკიონის ნედვედი არ უშლის

**„იუვენტუსის“** ნახევარმცველი მარკო მარკიონი ამ ზაფხულს კლუბიდან არ წავა — განაცხადა მისმა აგენტმა ბრუნო კარპეჯანიმ. 26 წლის ფეხბურთელს იშვიათად ათამაშებდნენ ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო გაყიდვას უპირებდნენ, მყიდველი კი „ფიორენტინა“ იყო.

მას შემდეგ, რაც პაველ ნედვედმა კონტრაქტი გაახანგრძლივა, მარკიონის შანსები კიდევ უფრო შემცირდა, მაგრამ კარპეჯანიმ თქვა: „კლუბი ამჟამად მარკოს ტრანსფერზე არ დააყენებს. არა მგონია, რომ ნედვედმა პრობლემები შეუქმნას. ისინი სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობენ“.

# ედინიო ლოსკოვის ნაცვლად

**მოსკოვის** „ლოკომოტივი“ ბრაზილიურ „ინტერნასიონალს“ ევაჭრება ედინიოს ტრანსფერზე.

რუსული მედიის ცნობით, მოსკოველები 24 წლის ნახევარმცველში 5 მილიონ ევროს იხდიან.

„ლოკომოტივი“ ლოსკოვის შემცვლელს ეძებს, რომელიც ორი კვირის წინ გაუშვეს გუნდიდან. ედინიოს კონტრაქტი „ინტერნასიონალთან“ 2009-ში ეწურება.

# დიარამ ჩელსი იუარა

**„არსენალს“** და „ლივერპულს“ ჩელსელი ლასანა დიარას ყიდვა უნდათ — წერს „სანდი მირორი“.

ცოტა ხნის წინ „ჩელსიმ“ ფრანგ ნახევარმცველს კონტრაქტის სამი წლით გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ ნახევარმცველმა იუარა. მისი ხელშეკრულება კლუბთან 2008-ში იწურება და ახლა თუ არ გაყიდეს, მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება.

# ჩხრეკა დილაადრიან

**ორშაბათს** დილით, სკოტლენდ იარდი სამი ბრიტანული კლუბის ოფისს დაეცა და გაჩხრიკა. „გლაზგო რეინჯერსი“, „პორტსმუთი“ და „ნიუკასლი“ კორუფციაში არიან ეჭვმიტანილნი და ჩხრეკაც ამის გამო მოხდა.

გარდა ამისა, სკოტლანდ იარდი ორი კერძო პირის სახლშიც შევიდა. პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქმე ფეხბურთელების ტრანსფერებს ეხება.

# როსტოველი იაკოვენკო

**„როსტოვის“** მწვრთნელად პაველ იაკოვენკო დანიშნეს და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მან სერგეი ბალახნინი შეცვალა, რომელიც ახლახან გადადგა.

დონისპირული კლუბი 16 ტურის შემდეგ ბოლო ადგილზეა და იაკოვენკომ გავარდნისგან უნდა იხსნას.

# მიდო მიდის

**„ტოტენჰემის“** ეგვიპტელი ფორვარდი აჰმედ ჰოსამ მიდო „ბირმინგემში“ გადადის.

„მათ კარგი პირობები შემომთავაზეს — თქვა ფეხბურთელმა — და „ტოტენჰემიც“ კმაყოფილია გარიგებით. „ბირმინგემი“ ჯერ ერთ მილიონ გირვანქას გადაუხდის, სეზონის ბოლოს კი ჩემს კონტრაქტს ხუთ მილიონად გამოისყიდის“.

# ფობერი გამოჩაქუჩდა

**რაიმონ დომენეკმა** ჟულიენ ფობერის „ვესტ ჰემში“ გადასვლას ბრიყვული საქციელი უწოდა. „ბორდოს“ ნახევარმცველი ივნისში გადავიდა „ჩაქუჩებში“.

„საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები გუნდის გამოცვლისას რჩევას მეკითხებიან, ზოგი მიჯერებს, ზოგი კი არა. პრემიერლიგის რომელიმე ტოპკლუბში რომ გადასულიყო, ჩემთვის მისაღები იქნებოდა, მაგრამ ფობერის „ვესტ ჰემში“ წასვლა სიბრიყვეა“ — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟიული გლადიატორია
## რომამ მიზანი აიხდინა



**ლუდოვიკ ჟიული** მომავალი სამი სეზონის განმავლობაში იტალიურ „რომაში“ ითამაშებს — ლუჩანო სპალეტის გუნდმა „ბარსელონას“ 4 მილიონი ევრო გადაუხადა და პლუს ამას, იმ შემთხვევაში, თუ „რომა“ გაისად ჟიულისთან ერთად სერია A-ში საჩემპიონთალიგო ადგილზე გავიდა, რომაელები ხსენებულ თანხას კიდევ მილიონს დაუმატებენ.

„ლუდო“ სამი წლის წინ „კამპ ნოუზე“ 6,5 მილიონი ევროს ფასად მივიდა. ჯერჯერობით „ბარსადან“ წასულებიდან კლუბმა ფული მარტო ფრანგში მიიღო, რადგანაც ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა და ხავიერ სავიოლამ კატალონია თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვეს. სანტიაგო ესკეროც ალბათ უფასოდ წავა...

„რომაში“ კი ჟიულის ბარსელონურ ხელფასს ვერ გადაუხდიან. ფრანგი „კამპ ნოუზე“ სეზონში 3,5 მილიონ ევროს იღებდა მაშინ, როცა იტალიაში 2,5 მილიონი ექნება. ჟიულის „რომასთან“ კონტრაქტი 2010-ში დაუმთავრდება.

„ბარსას“ და იტალიელების მოლაპარაკება „ლუდოს“ თაობაზე მაშინ დაიწყო, როცა კატალონიური გუნდი „რომას“ რუმინელ მცველ კრისტიან კივუთი დაინტერესდა. მერე კივუმ გუნდში დარჩენა ამჯობინა და ჟიულიც გაისად იტალიის დედაქალაქში ფრანჩესკო ტოტის გვერდით ითამაშებს.

ლუდოვიკ ჟიული აპენინელთა მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის ფავორიტია. მას სამომავლოდ ჩემპიონთა ლიგაზე გასასვლელად გუნდში სწორედ „ლუდოსნაირი“ სწრაფი და მოუხელთებელი შემტევი სჭირდებოდა.

ექსბარსელონელმა „რომაში“ თავისი გადასვლის ამბავი მონაკოში ყოფნისას გაიგო და განაცხადა, რომ ძალიან კმაყოფილია.

რაც შეეხება მეორე წამსვლელს, სანტი ესკეროს — მისი საქმეც მალე გადაწყდება. ბასკი, სავარაუდოდ, ისევ მშობლიურ „ბილბაოს“ დაუბრუნდება, სადაც კლუბის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან.

„ესკერო შესანიშნავი ფეხბურთელია და მოხარულნი ვიქნებით, თუ იგი „ატლეტიკოში“ დაბრუნდება“ — განაცხადა ბასკური ფლაგმანის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ფერნანდო გარსია მაკუამ.

**ლადო ხომერიკი**



# ვალენსიამ აიალა ელგერათი შეცვალა

**ივან ელგერა** „ვალენსიაში“ გადავიდა. 31 წლის მცველი „რეალს“ უკვე დაშორდა და ამიერიდან „მესტალიაზე“ ითამაშებს.

წარმოშობით სანტანდერელი ფეხბურთელი „რეალში“ ზედმეტი გამოდგა. მადრიდში ფაბიო კანავარო და სერხიო რამოსი ისედაც იყვნენ, ამ ზაფხულს კი ცენტრალურ მცველებს კრისტოფ მეცელდერი და ბრაზილიელი პეპე შეემატნენ.

„ვალენსიამ“, რომელიც რობერტო ფაბიან აიალას „სარაგოსაში“ წასვლით „დაობლდა“, ელგერას სახით ღირსეული შევსება მიიღო.

ივან ელგერა ბუხიას დებიუტი 1995 წელს „მანჩეგოში“ შედგა, შემდეგ კი „ალბასეტეში“, იტალიურ „რომაში“ და ბარსელონის „ესპანიოლში“ ითამაშა, სანამ 1999 წელს მადრიდის „რეალში“ არ გადავიდა.

მოგებული აქვს სამგზის ესპანეთის ჩემპიონობა (2000-01, 2002-03, 2006-07), ორჯერ ჩემპიონთა თასი (1999-2000, 2001-2002), ორი ესპანეთის სუპერთასი (2001, 2003), ევროპის სუპერთასი (2002) და საკონტინენტთაშორისო თასი (2002).

ივან ელგერა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ხელფასად 2,5 მილიონ ევროს იღებდა სეზონში, ახლა კი მისი ჯამაგირი 1,8 მილიონ ევრომდე შემცირდება.

**ლადო ხომერიკი**

# არიენ რობენი ისევ სითეთრის ზღვარზე

**მადრიდის** „რეალი“ მზადაა, არიენ რობენში 21 მილიონი ევრო გადაიხადოს, ხოლო „ჩელსი“ ჰოლანდიელის სანაცვლოდ უკვე 28 მილიონს ითხოვს: ინგლისური გაზეთები კი ამტკიცებენ, რომ კლუბთა შორის გარიგება საშუალო ვარიანტის, 23,5 მილიონი ევროს გამოძახევის შემდეგ შედგება.

ინგლისური და ესპანური მედიის მიხედვით, რობენის ტრანსფერი უკვე გაჩარხულია და ჰოლანდიელის რეალელობას კვირის ბოლომდე გამოაცხადებენ. ახლა გასარკვევი ის დარჩა, რომან აბრამოვიჩი „სამეფო კლუბის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს ფეხბურთელის საფასურზე როდის მოურიგდება. რობენის მადრიდული ჯამაგირის ამბავიც ჯერ ბუნდოვანია, თუმც, როგორც უკვე ვთქვით, მედია მას უკვე მადრიდელად თვლის.

ჰოლანდიელს „ჩელსიზე“ გული მას შემდეგ აუცრუვდა, რაც ჟოზე მაურინიუმ ძირითადს ჩამოაშორა — ხანგრძლივი ტრავმიანობის გამო რობენი იოლად ვერ ჩადგა ფორმაში. თან ლონდონურმა კლუბმა ფლორენ მალუდაც იყიდა და არიენს არავითარი სურვილი არ აქვს, გაისადაც სათადარიგოებში იყურყუტოს...

„სამეფო გუნდის“ მწვრთნელი ბერნდ შუსტერი რობენის შეძენის დიდი მოსურნეა, რასაც ვერ ვიტყვით ჟულიო ბაპტისტას თაობაზე. „მხეცის“ მადრიდში დაბრუნება შუსტერს არ უნდა, ამიტომაც „რეალი“ ბრაზილიელის გაყიდვას აპირებს. ბაპტისტამ „კოპა ამერიკაზე“ შესანიშნავად ითამაშა, უცხო კლუბებმა მის ხელში ჩასაგდებად ნადირობა ახალი ძალით გააჩაღეს და მადრიდელებმაც ჟულიო 20 მილიონი ევრო შეაფასეს.

**ლადო ხომერიკი**



# კანავარო პასუხს ელის

## იუვენტუსში დაბრუნება ცუდი არ იქნებოდა...



**ფაბიო კანავარო** ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია. უცნობია, დარჩება თუ არა იტალიის ნაკრების კაპიტანი „რეალში“. ჯერ არავინ იცის, რა თვალით უყურებს მას მადრიდელთა ახალი მწვრთნელი ბერნდ შუსტერი.

ესპანური პრესის ცნობით, კანავარო უკმაყოფილოა „რეალიდან“ ფაბიო კაპელოს წასვლით და ორი მცველის — კრისტოფ მეცელდერისა და პეპეს მოსვლით. მას „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობისთვის, კერძოდ კი, სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩისთვის ახსნა-განმარტება მოუთხოვია — გამაგებინეთ, საჭირო ვარ, თუ არაო.

იტალიური ჟურნალ-გაზეთების ცნობით კი, 33 წლის მცველის „იუვენტუსში“ დაბრუნების შანსი გაიზარდა. ამის დასტური კანავაროს „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში გაკეთებული კომენტარია.

— „იუვეში“? დაბრუნება ცუდი ნამდვილად არ იქნება. ხშირად ველაპარაკები ტურინელთა სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოს, იგი ჩემი მეგობარია. „ბებერი ქალბატონი“ ახალ მცველს ეძებს, მაგრამ მე ჯერ არავისთან მქონია მოლაპარაკება. კვლავ მსოფლიოს საუკეთესო კლუბის, მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ვარ და გუნდთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ასე რომ, თუ ჩემით ვინმე დაინტერესებულა, ჯერ „რეალის“ უფროსობას უნდა შეუთანხმდეს. რაც შეეხება „იუვენტუსს“, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ტურინში ბრწყინვალე პერიოდი გავატარე და ორი სკუდეტო მოვიგე, რომელსაც ვერავინ ვერასდროს წამართმევს“ — თქვა კანავარომ.

„სკუადრა აძურას“ კაპიტანს ფრანჩესკო ტოტიზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, „რომას“ სიმბოლო 2006 წლის მუნდიალის მერე ეროვნულ ნაკრებში აღარ თამაშობს და ჯერ უცნობია, დაბრუნდება თუ არა და, როდის.

„პირადად მე ყოველთვის მზად ვარ, ნაკრების ღირსება დავიცვა. რაც შეეხება ტოტის, ერთი, რაც მის საქციელში არ მომეწონა, ის არის, რომ ყველას ლოდინი გვაიძულა და პირდაპირ არა და არ თქვა, ნაკრებში ვითამაშებ ან არ ვითამაშებო“ — დასძინა ფაბიო კანავარომ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ესპანეთი. პრიმერადივიზიონი 2007-2008

## 2007 წელი

**1-ლი ტური, 26 აგვისტო**
ბილბაო : ოსასუნა
რასინგი : ბარსელონა
მურსია : სარაგოსა
მალიორკა : ლევანტე
რეალი : ატლეტიკო
ვალენსია : ვილიარეალი
დეპორტივო : ალმერია
ესპანიოლი : ვალიადოლიდი
უელვა : ბეტისი
სევილია : ხეტაფე

**მე-2 ტური, 2 სექტემბერი**
ოსასუნა : სევილია
ბარსელონა : ბილბაო
სარაგოსა : რასინგი
ლევანტე : მურსია
ატლეტიკო : მალიორკა
ვილიარეალი : რეალი
ალმერია : ვალენსია
ვალიადოლიდი : დეპორტივო
ბეტისი : ესპანიოლი
ხეტაფე : უელვა

**მე-3 ტური, 16 სექტემბერი**
ოსასუნა : ბარსელონა
ბილბაო : სარაგოსა
რასინგი : ლევანტე
მურსია : ატლეტიკო
მალიორკა : ვილიარეალი
რეალი : ალმერია
ვალენსია : ვალიადოლიდი
დეპორტივო : ბეტისი
ესპანიოლი : ხეტაფე
სევილია : უელვა

**მე-4 ტური, 23 სექტემბერი**
ბარსელონა : სევილია
სარაგოსა : ოსასუნა
ლევანტე : ბილბაო
ატლეტიკო : რასინგი
ვილიარეალი : მურსია
ალმერია : მალიორკა
ვალიადოლიდი : რეალი
ბეტისი : ვალენსია
ხეტაფე : დეპორტივო
უელვა : ესპანიოლი

**მე-5 ტური, 26 სექტემბერი**
ბარსელონა : სარაგოსა
ოსასუნა : ლევანტე
ბილბაო : ატლეტიკო
რასინგი : ვილიარეალი
მურსია : ალმერია
მალიორკა : ვალიადოლიდი
რეალი : ბეტისი
ვალენსია : ხეტაფე
დეპორტივო : უელვა
სევილია : ესპანიოლი

**მე-6 ტური, 30 სექტემბერი**
სარაგოსა : სევილია
ლევანტე : ბარსელონა
ატლეტიკო : ოსასუნა
ვილიარეალი : ბილბაო
ალმერია : რასინგი
ვალიადოლიდი : მურსია
ბეტისი : მალიორკა
ხეტაფე : რეალი
უელვა : ვალენსია
ესპანიოლი : დეპორტივო

**მე-7 ტური, 7 ოქტომბერი**
სარაგოსა : ლევანტე
ბარსელონა : ატლეტიკო
ოსასუნა : ვილიარეალი
ბილბაო : ალმერია
რასინგი : ვალიადოლიდი
მურსია : ბეტისი
მალიორკა : ხეტაფე
რეალი : უელვა
ვალენსია : ესპანიოლი
სევილია : დეპორტივო

**მე-8 ტური, 21 ოქტომბერი**
ლევანტე : სევილია
ატლეტიკო : სარაგოსა
ვილიარეალი : ბარსელონა
ალმერია : ოსასუნა
ვალიადოლიდი : ბილბაო
ბეტისი : რასინგი
ხეტაფე : მურსია
უელვა : მალიორკა
ესპანიოლი : რეალი
დეპორტივო : ვალენსია

**მე-9 ტური, 28 ოქტომბერი**
ლევანტე : ატლეტიკო
სარაგოსა : ვილიარეალი
ბარსელონა : ალმერია
ოსასუნა : ვალიადოლიდი
ბილბაო : ბეტისი
რასინგი : ხეტაფე
მურსია : უელვა
მალიორკა : ესპანიოლი
რეალი : დეპორტივო
სევილია : ვალენსია

**მე-10 ტური, 31 ოქტომბერი**
ატლეტიკო : სევილია
ვილიარეალი : ლევანტე
ალმერია : სარაგოსა
ვალიადოლიდი : ბარსელონა
ბეტისი : ოსასუნა
ხეტაფე : ბილბაო
უელვა : რასინგი
ესპანიოლი : მურსია
დეპორტივო : მალიორკა
ვალენსია : რეალი

**მე-11 ტური, 4 ნოემბერი**
ატლეტიკო : ვილიარეალი
ლევანტე : ალმერია
სარაგოსა : ვალიადოლიდი
ბარსელონა : ბეტისი
ოსასუნა : ხეტაფე
ბილბაო : უელვა
რასინგი : ესპანიოლი
მურსია : დეპორტივო
მალიორკა : ვალენსია
სევილია : რეალი

**მე-12 ტური, 11 ნოემბერი**
ვილიარეალი : სევილია
ალმერია : ატლეტიკო
ვალიადოლიდი : ლევანტე
ბეტისი : სარაგოსა
ხეტაფე : ბარსელონა
უელვა : ოსასუნა
ესპანიოლი : ბილბაო
დეპორტივო : რასინგი
ვალენსია : მურსია
რეალი : მალიორკა

**მე-13 ტური, 25 ნოემბერი**
ვილიარეალი : ალმერია
ატლეტიკო : ვალიადოლიდი
ლევანტე : ბეტისი
სარაგოსა : ხეტაფე
ბარსელონა : უელვა
ოსასუნა : ესპანიოლი
ბილბაო : დეპორტივო
რასინგი : ვალენსია
მურსია : რეალი
სევილია : მალიორკა

**მე-14 ტური, 2 დეკემბერი**
ალმერია : სევილია
ვალიადოლიდი : ვილიარეალი
ბეტისი : ატლეტიკო
ხეტაფე : ლევანტე
უელვა : სარაგოსა
ესპანიოლი : ბარსელონა
დეპორტივო : ოსასუნა
ვალენსია : ბილბაო
რეალი : რასინგი
მალიორკა : მურსია

**მე-15 ტური, 9 დეკემბერი**
ალმერია : ვალიადოლიდი
ვილიარეალი : ბეტისი
ატლეტიკო : ხეტაფე
ლევანტე : უელვა
სარაგოსა : ესპანიოლი
ბარსელონა : დეპორტივო
ოსასუნა : ვალენსია
ბილბაო : რეალი
რასინგი : მალიორკა
სევილია : მურსია

**მე-16 ტური, 16 დეკემბერი**
ვალიადოლიდი : სევილია
ბეტისი : ალმერია
ხეტაფე : ვილიარეალი
უელვა : ატლეტიკო
ესპანიოლი : ლევანტე
დეპორტივო : სარაგოსა
ვალენსია : ბარსელონა
რეალი : ოსასუნა
მალიორკა : ბილბაო
მურსია : რასინგი



**მე-17 ტური, 23 დეკემბერი**
ვალიადოლიდი : ბეტისი
ალმერია : ხეტაფე
ვილიარეალი : უელვა
ატლეტიკო : ესპანიოლი
ლევანტე : დეპორტივო
სარაგოსა : ვალენსია
ბარსელონა : რეალი
ოსასუნა : მალიორკა
ბილბაო : მურსია
სევილია : რასინგი

## 2008 წელი

**მე-18 ტური, 6 იანვარი**
სევილია : ბეტისი
ხეტაფე : ვალიადოლიდი
უელვა : ალმერია
ესპანიოლი : ვილიარეალი
დეპორტივო : ატლეტიკო
ვალენსია : ლევანტე
რეალი : სარაგოსა
მალიორკა : ბარსელონა
მურსია : ოსასუნა
რასინგი : ბილბაო

**მე-19 ტური, 13 იანვარი**
ბეტისი : ხეტაფე
ვალიადოლიდი : უელვა
ალმერია : ესპანიოლი
ვილიარეალი : დეპორტივო
ატლეტიკო : ვალენსია
ლევანტე : რეალი
სარაგოსა : მალიორკა
ბარსელონა : მურსია
ოსასუნა : რასინგი
ბილბაო : სევილია

**მე-20 ტური, 20 იანვარი**
ოსასუნა : ბილბაო
ბარსელონა : რასინგი
სარაგოსა : მურსია
ლევანტე : მალიორკა
ატლეტიკო : რეალი
ვილიარეალი : ვალენსია
ალმერია : დეპორტივო
ვალიადოლიდი : ესპანიოლი
ბეტისი : უელვა
ხეტაფე : სევილია

**21-ე ტური, 27 იანვარი**
სევილია : ოსასუნა
ბილბაო : ბარსელონა
რასინგი : სარაგოსა
მურსია : ლევანტე
მალიორკა : ატლეტიკო
რეალი : ვილიარეალი
ვალენსია : ალმერია
დეპორტივო : ვალიადოლიდი
ესპანიოლი : ბეტისი
უელვა : ხეტაფე

**22-ე ტური, 3 თებერვალი**
ბარსელონა : ოსასუნა
სარაგოსა : ბილბაო
ლევანტე : რასინგი
ატლეტიკო : მურსია
ვილიარეალი : მალიორკა
ალმერია : რეალი
ვალიადოლიდი : ვალენსია
ბეტისი : დეპორტივო
ხეტაფე : ესპანიოლი
უელვა : სევილია

**23-ე ტური, 10 თებერვალი**
სევილია : ბარსელონა
ოსასუნა : სარაგოსა
ბილბაო : ლევანტე
რასინგი : ატლეტიკო
მურსია : ვილიარეალი
მალიორკა : ალმერია
რეალი : ვალიადოლიდი
ვალენსია : ბეტისი
დეპორტივო : ხეტაფე
ესპანიოლი : უელვა

**24-ე ტური, 17 თებერვალი**
სარაგოსა : ბარსელონა
ლევანტე : ოსასუნა
ატლეტიკო : ბილბაო
ვილიარეალი : რასინგი
ალმერია : მურსია
ვალიადოლიდი : მალიორკა
ბეტისი : რეალი
ხეტაფე : ვალენსია
უელვა : დეპორტივო
ესპანიოლი : სევილია

**25-ე ტური, 24 თებერვალი**
სევილია : სარაგოსა
ბარსელონა : ლევანტე
ოსასუნა : ატლეტიკო
ბილბაო : ვილიარეალი
რასინგი : ალმერია
მურსია : ვალიადოლიდი
მალიორკა : ბეტისი
რეალი : ხეტაფე
ვალენსია : უელვა
დეპორტივო : ესპანიოლი

**26-ე ტური, 2 მარტი**
ლევანტე : სარაგოსა
ატლეტიკო : ბარსელონა
ვილიარეალი : ოსასუნა
ალმერია : ბილბაო
ვალიადოლიდი : რასინგი
ბეტისი : მურსია
ხეტაფე : მალიორკა
უელვა : რეალი
ესპანიოლი : ვალენსია
დეპორტივო : სევილია

**27-ე ტური, 9 მარტი**
სევილია : ლევანტე
სარაგოსა : ატლეტიკო
ბარსელონა : ვილიარეალი
ოსასუნა : ალმერია
ბილბაო : ვალიადოლიდი
რასინგი : ბეტისი
მურსია : ხეტაფე
მალიორკა : უელვა
რეალი : ესპანიოლი
ვალენსია : დეპორტივო

**28-ე ტური, 16 მარტი**
ატლეტიკო : ლევანტე
ვილიარეალი : სარაგოსა
ალმერია : ბარსელონა
ვალიადოლიდი : ოსასუნა
ბეტისი : ბილბაო
ხეტაფე : რასინგი
უელვა : მურსია
ესპანიოლი : მალიორკა
დეპორტივო : რეალი
ვალენსია : სევილია

**29-ე ტური, 23 მარტი**
სევილია : ატლეტიკო
ლევანტე : ვილიარეალი
სარაგოსა : ალმერია
ბარსელონა : ვალიადოლიდი
ოსასუნა : ბეტისი
ბილბაო : ხეტაფე
რასინგი : უელვა
მურსია : ესპანიოლი
მალიორკა : დეპორტივო
რეალი : ვალენსია

**30-ე ტური, 30 მარტი**
ვილიარეალი : ატლეტიკო
ალმერია : ლევანტე
ვალიადოლიდი : სარაგოსა
ბეტისი : ბარსელონა
ხეტაფე : ოსასუნა
უელვა : ბილბაო
ესპანიოლი : რასინგი
დეპორტივო : მურსია
ვალენსია : მალიორკა
რეალი : სევილია

**31-ე ტური, 6 აპრილი**
სევილია : ვილიარეალი
ატლეტიკო : ალმერია
ლევანტე : ვალიადოლიდი
სარაგოსა : ბეტისი
ბარსელონა : ხეტაფე
ოსასუნა : უელვა
ბილბაო : ესპანიოლი
რასინგი : დეპორტივო
მურსია : ვალენსია
მალიორკა : რეალი

**32-ე ტური, 13 აპრილი**
ალმერია : ვილიარეალი
ვალიადოლიდი : ატლეტიკო
ბეტისი : ლევანტე
ხეტაფე : სარაგოსა
უელვა : ბარსელონა
ესპანიოლი : ოსასუნა
დეპორტივო : ბილბაო
ვალენსია : რასინგი
რეალი : მურსია
მალიორკა : სევილია

**33-ე ტური, 20 აპრილი**
სევილია : ალმერია
ვილიარეალი : ვალიადოლიდი
ატლეტიკო : ბეტისი
ლევანტე : ხეტაფე
სარაგოსა : უელვა
ბარსელონა : ესპანიოლი
ოსასუნა : დეპორტივო
ბილბაო : ვალენსია
რასინგი : რეალი
მურსია : მალიორკა

**34-ე ტური, 27 აპრილი**
ვალიადოლიდი : ალმერია
ბეტისი : ვილიარეალი
ხეტაფე : ატლეტიკო
უელვა : ლევანტე
ესპანიოლი : სარაგოსა
დეპორტივო : ბარსელონა
ვალენსია : ოსასუნა
რეალი : ბილბაო
მალიორკა : რასინგი
მურსია : სევილია

**35-ე ტური, 4 მაისი**
სევილია : ვალიადოლიდი
ალმერია : ბეტისი
ვილიარეალი : ხეტაფე
ატლეტიკო : უელვა
ლევანტე : ესპანიოლი
სარაგოსა : დეპორტივო
ბარსელონა : ვალენსია
ოსასუნა : რეალი
ბილბაო : მალიორკა
რასინგი : მურსია

**36-ე ტური, 7 მაისი**
ბეტისი : ვალიადოლიდი
ხეტაფე : ალმერია
უელვა : ვილიარეალი
ესპანიოლი : ატლეტიკო
დეპორტივო : ლევანტე
ვალენსია : სარაგოსა
რეალი : ბარსელონა
მალიორკა : ოსასუნა
მურსია : ბილბაო
რასინგი : სევილია

**37-ე ტური, 11 მაისი**
ბეტისი : სევილია
ვალიადოლიდი : ხეტაფე
ალმერია : უელვა
ვილიარეალი : ესპანიოლი
ატლეტიკო : დეპორტივო
ლევანტე : ვალენსია
სარაგოსა : რეალი
ბარსელონა : მალიორკა
ოსასუნა : მურსია
ბილბაო : რასინგი

**38-ე ტური, 18 მაისი**
ხეტაფე : ბეტისი
უელვა : ვალიადოლიდი
ესპანიოლი : ალმერია
დეპორტივო : ვილიარეალი
ვალენსია : ატლეტიკო
რეალი : ლევანტე
მალიორკა : სარაგოსა
მურსია : ბარსელონა
რასინგი : ოსასუნა
სევილია : ბილბაო

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 21:45 | 6 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 21:15 | 233 | სლოვანი-დუბნიცა | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 40 | ორჰუსი-პორსენსი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 41 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 20:00 | 42 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 5.40 | 3.60 | 1.55 | 2.16 | 1.20 | 1.08 |
| 20:00 | 43 | რანდერსი-ვიბორგი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 49 | სანდეფიორდი-ლინი | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 50 | ბრანი-სტაბეკი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 51 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 2.95 | 3.30 | 2.15 | 1.55 | 1.24 | 1.30 |
| 20:00 | 52 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 53 | სტარტი-ალესუნდი | 1.80 | 3.50 | 3.90 | 1.18 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 54 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 55 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 56 | მოლდე-ლოვ ჰამი | 1.40 | 4.50 | 6.00 | 1.06 | 1.13 | 2.57 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 57 | ბოდიო გლიმტი-სპარტა ს | 1.30 | 4.65 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.94 |
| 20:00 | 58 | ბრინი-რაუფოსი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 20:00 | 59 | ჰამარი-ნოტოდენი | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 20:00 | 60 | ჰაუგესუნდი-სოგნდალი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 20:00 | 61 | კონგსვინგერი-ჰიონეფოსი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 20:00 | 62 | სკეიდი-მანდალი | 1.80 | 3.50 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 20:00 | 63 | ტრომსდალენი-მოსი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 67 | ჰამარბი-კალმარი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 83 | იარო-ინტერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 103 | ფიგეირენსე-სპორტ რისაიფი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 23:45 | 104 | ატლეტიკო მნ-ამერიკა | 1.50 | 3.50 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.19 |
| 23:45 | 105 | ატლეტიკო პრ-ჟუვენტუდი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:45 | 106 | ინტერნასიონალი-კორინთიანსი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 23:45 | 107 | ნაუტიკო-კრუზეირო | 2.45 | 3.00 | 2.65 | 1.34 | 1.27 | 1.40 |
| 23:45 | 108 | სან პაულუ-ფლუმინენსე | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 109 | ფლამენგო-პარანა | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 110 | გოიასი-გრემიო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 111 | პალმეირასი-სანტოსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 20:45 | 123 | დერი-პიუნიკი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 22:15 | 124 | დომჟალე-ტირანა | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 125 | დუდელანჟე-ჟილინა | 9.00 | 5.60 | 1.20 | 3.45 | 1.05 | 1.00 |
| 23:45 | 126 | ჰაფნარფიორდური-ტორშავნი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 22:00 | 129 | მარსახლოკი-სარაევო | 9.00 | 4.80 | 1.25 | 3.13 | 1.09 | 1.00 |
| 21:00 | 132 | შერიფ ტირასპ-რეინჯერსი(ანდ) | 1.10 | 7.50 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.75 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 20:30 | 136 | აკტობე-მატერსბურგი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 18:00 | 137 | ბანანცი-იანგ ბოიზი | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 18:45 | 139 | მკტ არაზი-გროცლინი | 6.20 | 4.30 | 1.38 | 2.53 | 1.12 | 1.04 |
| 19:00 | 140 | ზლატე მორავცე-ალმა ატა | 1.22 | 5.70 | 8.50 | 1.00 | 1.06 | 3.41 |
| 19:45 | 142 | სლავენი-ტეუტა | 1.35 | 4.30 | 7.10 | 1.02 | 1.13 | 2.67 |
| 20:00 | 143 | ბეზანია-ბესა | 1.40 | 3.90 | 7.10 | 1.03 | 1.16 | 2.51 |
| 20:00 | 144 | ჰელსინკი-ეტცელა | 1.07 | 7.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.29 |
| 20:00 | 145 | ნისტრუ -ჰონვედი | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| 19:30 | 146 | ვოივოდინა-ჰიბერნიანსი ჰაოლა | 1.11 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.02 | 4.33 |
| 20:30 | 147 | სლიემა-ლიტექსი ლოვ | 12.00 | 7.50 | 1.11 | 4.61 | 1.01 | 1.00 |
| 20:35 | 148 | სკონტო-დინამო მინსკი | 1.50 | 4.00 | 5.00 | 1.09 | 1.15 | 2.22 |
| 21:00 | 149 | ბ 36 ტორშავნი-ეკრანასი | 5.30 | 3.80 | 1.50 | 2.21 | 1.16 | 1.07 |
| 21:00 | 150 | ჰელსინგბორგი-ნარვა | 1.15 | 5.70 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.13 |
| 21:00 | 151 | ლილესტრიომი-კ 97 | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 20:00 | 152 | მიუპა-სტრიმური | 1.10 | 7.30 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.91 |
| 21:00 | 153 | ომონია-რუდარი პ | 1.15 | 5.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 3.94 |
| 19:00 | 154 | სანტა კოლომა-მაკაბი თა | 20.00 | 8.00 | 1.05 | 5.71 | 1.00 | 1.00 |
| 20:30 | 155 | მეტალურგსი ლ-დინამო ბრესტი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:00 | 156 | კარმარტენი-ბრანი | 7.70 | 4.10 | 1.35 | 2.67 | 1.14 | 1.01 |
| 22:00 | 157 | გორიცა-რაბოტნიჩკი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:00 | 158 | ჰეკენი-რეიკიავიკი | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 22:00 | 159 | არტმედია-ზიმბრუ | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 22:15 | 160 | ვარდარი-ანორთოსისი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:15 | 161 | ზრინსკი-პარტიზანი ბ | 5.70 | 3.60 | 1.50 | 2.20 | 1.18 | 1.05 |
| 22:30 | 163 | მტკ-მიკა აშტარაკი | 1.25 | 5.20 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.15 |
| 22:30 | 164 | როლი -ჰაკა | 5.20 | 3.60 | 1.55 | 2.12 | 1.19 | 1.08 |
| 22:30 | 165 | რიდი-ნეფჩი ბაქო | 1.20 | 5.50 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.41 |
| 22:45 | 167 | დანგანონი-სუდუვა | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 168 | გლენტორანი-აიკ სოლნა | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| 22:45 | 169 | სტ.პატრიკსი ატლ-ოდენსე | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 23:00 | 171 | შიროკი ბრიეგი-კოპერი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:15 | 172 | კეფლავიკი-მიდტიულანდი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში (20) | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 197 | ჩეხეთი 20-ავსტრია 20 | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 198 | ჩილე 20-არგენტინა 20 | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| | | ევროპის ჩემპიონატი (19) ავსტრია | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 19:15 | 177 | რუსეთი 19 -სერბეთი 19 | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 178 | ესპანეთი 19-პორტუგალია 19 | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 22:00 | 179 | ავსტრია 19-საბერძნეთი 19 | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 22:00 | 180 | გერმანია 19-საფრანგეთი 19 | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| | | აზიის თასი 2007 | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 192 | ინდონეზია-სამხ.კორეა(ინდონეზია) | 5.50 | 3.90 | 1.47 | 2.28 | 1.15 | 1.06 |
| 14:20 | 193 | ს.არაბეთი-ბაჰრეინი(ინდონეზია) | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 16:35 | 194 | მალაიზია-ირანი(მალაიზია) | 15.00 | 7.00 | 1.10 | 4.77 | 1.02 | 1.00 |
| 16:35 | 195 | უზბეკეთი-ჩინეთი(მალაიზია) | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 2.25 | 2.00 | 4.10 | 1.05 | 1.45 | 1.34 |
| 10040 | ორჰუსი-პორსენსი | 2.40 | 2.00 | 3.75 | 1.09 | 1.46 | 1.30 |
| 10041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.60 | 2.10 | 2.50 | 1.32 | 1.47 | 1.14 |
| 10042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 5.70 | 2.20 | 2.00 | 1.58 | 1.48 | 1.04 |
| 10043 | რანდერსი-ვიბორგი | 2.50 | 2.10 | 3.60 | 1.14 | 1.47 | 1.32 |
| 10067 | ჰამარბი-კალმარი | 2.50 | 2.10 | 3.50 | 1.14 | 1.45 | 1.31 |
| 10083 | იარო-ინტერი | 3.00 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.47 | 1.18 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11040 | ორჰუსი-პორსენსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11043 | რანდერსი-ვიბორგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11067 | ჰამარბი-კალმარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11083 | იარო-ინტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი) | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|
| 12006 გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.90 | 1.70 |
| 12040 ორჰუსი-ჰორსენსი | 1.90 | 1.70 |
| 12041 ესბიერგი-ბრიონდბიუ | 1.90 | 1.60 |
| 12042 ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 2.00 | 1.50 |
| 12043 რანდერსი-ვიბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12067 ჰამარბი-კალმარი | 1.90 | 1.70 |
| 12083 იარო-ინტერი | 1.70 | 1.85 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15006 გრასჰოპერი-სტ.გალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 ორჰუსი-ჰორსენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 რანდერსი-ვიბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 ჰამარბი-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 იარო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს | | |
|---|---|---|
| [illegible] | | |
| 14006 გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.65 | 2.30 |
| 14040 ორჰუსი-ჰორსენსი | 1.75 | 2.00 |
| 14041 ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.10 | 1.75 |
| 14042 ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 2.50 | 1.30 |
| 14043 რანდერსი-ვიბორგი | 1.75 | 2.10 |
| 14067 ჰამარბი-კალმარი | 1.75 | 2.10 |
| 14083 იარო-ინტერი | 1.95 | 1.85 |

| ფრეს ბარეში (ძირ. დრო) | | |
|---|---|---|
| 16006 გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.32 | 3.00 |
| 16040 ორჰუსი-ჰორსენსი | 1.45 | 2.45 |
| 16041 ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.20 | 1.50 |
| 16042 ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 3.60 | 1.23 |
| 16043 რანდერსი-ვიბორგი | 1.50 | 2.30 |
| 16067 ჰამარბი-კალმარი | 1.50 | 2.30 |
| 16083 იარო-ინტერი | 1.80 | 1.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად) | | |
|---|---|---|
| 17006 გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.85 | 1.95 |
| 17040 ორჰუსი-ჰორსენსი | 1.85 | 1.95 |
| 17041 ესბიერგი-ბრიონდბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17042 ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17043 რანდერსი-ვიბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17067 ჰამარბი-კალმარი | 1.85 | 1.95 |
| 17083 იარო-ინტერი | 1.85 | 1.95 |

ჩოგბურთი

# რაფა, როჯერი და ბრიანები

**წლის** შემაჯამებელ ტურნირზე, იმავე მასტერსის თასზე, რომელიც წლეულს შანხაიში 11-18 ნოემბერს გაიმართება, ადგილები უკვე დაიბევეს რაფაელ ნადალმა, როჯერ ფედერერმა და წყვილთა დუეტმა ტყუპი ძმების ბობ და მაიკ ბრიანების შემადგენლობით.

რაფაელ ნადალმა, რომელიც უდავოდ კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს, მასტერსის თასზე ასე ნაადრევად პირველად გაინაღდა ადგილი. ესპანელი ვარსკვლავბიჭუნა წლეულს შეუდარებელია, რადგან უკვე ყველა საფარზე თითქმის ერთნაირი სიძლიერით თამაშობს და მხოლოდ „გრუნტის მეფე" აღარ არის. ეს მალიორკელის შედეგებსაც დაეტყო — ამ დროისთვის ესპანელს ყველაზე მეტი, უკვე 51 მოგებული მატჩი დაუგროვდა. რაფამ ასევე ყველაზე მეტი, 5 ტურნირი მოიგო, 30 აპრილიდან კი, მას შემდეგ, რაც ბარსელონაში ზედიზედ მესამედ იხეირა, საჩემპიონო რბოლასაც ლიდერობს. წლეულს თავისი პირველი ტიტული ესპანელმა ინდიან უელსის მასტერსზე მოიპოვა, რასაც მორიგი დიდებული საგრუნტო სეზონი მოჰყვა — ამ საფარზე რაფამ ორი მასტერსი, მონტე კარლო და რომი მოიგო და ჰამბურგის ფინალშიც გავიდა, სადაც ფედერერთან წააგო. ამ პერიოდში მალიორკელმა თავისი რეკორდული, თიხნარზე ზედიზედ მოგებული მატჩების სერია 81-მდე აიყვანა. ყოველივე ამას კი მშვენივრად ჩატარებული ორი სლემტურნირი მოჰყვა — „როლან გაროსზე" პირინეელმა ზედიზედ მესამედ იხეირა, რასაც უიმბლდონზე მშვენიერი გამოსვლა მოაყოლა, რომლის ფანტასტიურად ლამაზ ფინალში იმავე ფედერერთან წააგო. ყოველივე ამის შემდეგ საჩემპიონო რბოლას რაფა კვლავ 886 ქულით ლიდერობს.

„შანხაიში მოხვედრა სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო. ბედნიერი ვარ, ეს ასე მალე რომ მოვახერხე. წლეულს მართლაც კარგად ვთამაშობ" — თავის მიღწევით ამაყობს ნადალი.

გასული სამი სეზონისგან განსხვავებით, ძველებურად ველარ დომინანტობს ფედერერი, რომელსაც წლეულს პასივში უკვე 5 წაგება აქვს — წინა წლებში კი „მხიარულ როჯერს" ამდენი მარცხი მხოლოდ სეზონის მიწურულს თუ უგროვდებოდა. ამის მიუხედავად, დიადი ალპელი 9 ნათამაშები ტურნირიდან ექვსის ფინალში გავიდა, რომელთაგან ოთხი მოიგო — დუბაი და ჰამბურგის მასტერსი, პლუს ორი სლემტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი. ფედერერისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინგლისში გამარჯვება იყო — ლონდონში ხომ ალპელმა ზედიზედ მეხუთედ იჩემპიონა, რითაც ლეგენდარული ბიორნ ბორგის მიღწევა გაიმეორა.

„ტიტულის დაცვას ყველანაირად ვეცდები. შანხაიში სიამოვნებით ჩავალ, იქ ყოველთვის გულთბილად მხვდებიან და თამაშიც კარგად მიმდის ხოლმე" — განაცხადა მასტერის თასის სამგზის (2003, 2004 და 2006) მფლობელმა.

ასე რომ, წლეულს საჩოგბურთო სამყარო ერთი კაცის ამქარს აღარ წარმოადგენს — აქ უკვე ორხელისუფლებიანობა დამყარდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ფედერერი უახლოეს მდევარ ნოვაკ ჯოკოვიჩს 240 ქულას უგებს. თუმც ახალგაზრდა სერბსაც არ დავუკარგოთ ჩაუქობა — ეს ბიჭი მიმდინარე სეზონში ყოველ ტურნირზე ამტკიცებს თავის სიძლიერეს და სასწაული უნდა მოხდეს, შანხაიში ადგილი რომ ვერ დაიბევოს. წესით და რიგით, ჩინეთში ენდი როდიკის, ნიკოლაი დავიდენკოსა და ფერნანდო გონსალესის ადგილებიც უნდა გამოინახოს — თუ ტრავმებს გადაურჩნენ, ძნელი წარმოსადგენია, მათ რეიტინგში თავიანთი ღლევანდელი პოზიციები დათმონ. შანხაიში წამსვლელთა დარჩენილი ორი ადგილისთვის კი სეზონის ბოლოს ნამდვილი ომი გაჩაღდება, რადგანაც მეშვიდე საფეხურზე მყოფ ივან ლიუბიჩიჩსა და მე-20 ადგილოსან პოლ-ანრი მატიოს 100 ქულაზე ნაკლები აშორებს, რის გამოც მასტერის თასზე მოხვედრის შანსები ჯერ არავის დაუკარგავს.

თუ ერთეულთა შორის ორხელისუფლებიანობაა, მაშინ წყვილებში ძმებ ბრიანებს ვერავინ ედრება — მერამდენე წელია, ამერიკელი ტყუპები რეიტინგის სათავეში წამოსკუპებულან. ისინი უახლოს მდევრებს — მარკ ნოულსსა და დანიელ ნესტორს მთელი 266 ქულით უსწრებენ, რაც მათ სიძლიერეზე ნათლად მეტყველებს. წლეულს ბრიანების ანგარიშზე 46 გამარჯვების წილ მხოლოდ 6 მარცხი მოდის.

**ქახა ლომჯაშვილი**



AFP

როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი

# რუსეთიდან საქართველომდე 49 ნაბიჯია

**გასულ უქმეებზე** ჩოგბურთელ ქალთა მთავარი გუნდური შეჯიბრის, ფედერაციის თასის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალური მატჩები გაიმართა — იტალიელებმა ფრანგებს მოუგეს, ხოლო ამერიკელებმა მოედნის უპირატესობით ვერ ისარგებლეს, რუსებთან წააგეს და შედეგად, ფინალში, რომელიც მოსკოვში გაიმართება, რუსეთი თასის მოქმედ მფლობელ იტალიას დაუხვდება.

გასულ შაბათ-კვირას გაირკვა იმ ოთხი ნაკრების ვინაობაც, მომავალ წელს რუსებთან, იტალიელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან ერთად თასისთვის რომ იბრძოლებენ. მსოფლიო ჯგუფის საპლეიოფო მატჩებში ავსტრია 1:4 დამარცხდა ისრაელთან, ბელგიამ ასევე 1:4 წააგო ჩინეთთან, გერმანელებმა იაპონიაში მასპინძლები 3:2 დაჯაბნეს და ესპანელებმა კი 4:1 სძლიეს ჩეხებს.

ამ შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ქალთა ნაკრებების ახალი რეიტინგი, რომელსაც სათავეში კვლავაც რუსეთი უდგას. საქართველოს ნაკრები, რომელმაც ამ გაზაფხულზე წარმატებით ითამაშა ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში, 49-ე პოზიციაზეა.

| | | |
|---|---|---|
| 1. | რუსეთი | 30420,0 |
| 2. | იტალია | 27855,0 |
| 3. | საფრანგეთი | 16055,0 |
| 4. | აშშ | 9907,5 |
| 5. | ბელგია | 9360,0 |
| 6. | ესპანეთი | 8880,0 |
| 7. | ჩინეთი | 6230,0 |
| 8. | ისრაელი | 6120,0 |
| 9. | გერმანია | 5925,0 |
| 10. | ავსტრია | 4240,0 |
| 11. | ჩეხეთი | 3870,0 |
| 12. | იაპონია | 3670,0 |
| 13. | ხორვატია | 3355,0 |
| 14. | სლოვაკეთი | 3117,5 |
| 15. | უკრაინა | 3050,0 |
| 16. | კანადა | 2550,0 |
| 17. | არგენტინა | 2475,0 |
| 18. | ავსტრალია | 2160,0 |
| 19. | სერბეთი | 1990,0 |
| 20. | ტაივანი | 1925,0 |
| 49 | საქართველო | 765,0 |



# ანა ტატიშვილი: გვერდზე გაიწი, დაიკო

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, ცინცინატის ჰარდზე WTA-ტურის ეგიდით მიმდინარე 175-ათასიან შეჯიბრში შესანიშნავად თამაშობს ანა ტატიშვილი. საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევის შემდეგ ქართველმა ძირითადი ტურნირიც წარმატებით დაიწყო და სამ სეტში — 1:6 6:4 7:6 დაჯაბნა რეიტინგის 57-ე ნომერი, იაპონელი აიკო ნაკამურა.

მეორე წრეში ანას მეტოქე გამოცდილი ამერიკელი ლილი ოსტერლო იქნება, რომელმაც უკრაინელ ვიქტორია კუტუზოვას 6:2 6:3 მოუგო.

წარმატებით დაძლია გერმანულ გარხინგში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი ოქსანა კალაშნიკოვამაც. კვალიფიკაციის გადამწყვეტ მატჩში ოქსანამ 6:4 6:2 დაჯაბნა ჩეხი ჰანა ბარნეროვა და ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში ასევე კვალიფიკაციიდან წამოსულ ახალზელანდიელ დიანა ჰოლანდსს შეხვდება.

ამერიკაში, ქალაქ ვიჩიტას ჰარდზე ასევე 10-ათასიანი ტურნირი ტარდება და ჩვენებურ სოფო მელიქიშვილს პირველ მეტოქედ მე-6 ნომრად განთესილი ამერიკელი ჯენიფერ ილიე ერგო.

ჩვენს სამეზობლოში კი, კერძოდ ერევანში კაცთა 10-ათასიანი შეჯიბრია და ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილმა გიორგი ხრიკაძემ 6:3 1:6 2:6 წააგო ირლანდიელ ჯეიმს გლუსკისთან.



# კოტომიცუკის ათიდან ათი ხაკუხო მიწაზე დააშვა

**ნაგოიას** ბაშოს ორი მესამედი გვარიანი სენსაციით დაგვირგვინდა. იმპერატორის თასისკენ ცხრა დღე წაუგებლად მავალი იოკოძუნა ხაკუხო და სეკივაკე კოტომიცუკი ერთმანეთს დაეჭიდნენ. ფავორიტი ულაპარაკოდ ხაკუხო იყო. ზედიზედ ორი ბაშოს მომგებ და სუმოს უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე აღზევებულ მონღოლს მარტის შემდეგ არავისთან წაეგო და რახან იოკოძუნა ასასიორუს ივლისის ბაშოს დასაწყისი ჩაუვარდა და ლიდერს უკან ამოუდგა, ხაკუხო გაჩემპიონების უმთავრესი კანდიდატი გახდა. მეათე ტურამდე ყველაფერი ისე მიდიოდა, ხალხი რომ ფიქრობდა. გუშინ კი...

ოძეკის ტიტულზე დაგეშილი 31 წლის კოტომიცუკიმ მრისხანე მეტოქეს ჯიქურ შეუტია, ქამარიც იოლად აუღო და მომგებიანი გდებაც ისე შეასრულა, ხაკუხომ კონტროლეთის წამოწყებაც კი ვერ მოასწრო. წოდების ამაღლებაზე მეოცნებე სეკივაკეს დარჩენილ ხუთ ტურში წარმატების შემთხვევაში გაცილებით დიდი ოცნების ასრულებაც შეუძლია, თუმცა წინ სერიოზული წინააღმდეგობები დახვდება. ძლევანდელი ბარიერი კი განსაკუთრებით ძნელად გადასალახავი იქნება — მის წინ ხომ იოკოძუნა ასასიორუ დადგება. მონღოლ „ცისფერ დრაკონს“ კი ცხრა ქულა აქვს და თუ ერთპიროვნულ ლიდერს წააქცევს, ცხრილში გვერდით ამოუდგება.

ქართველმა კოკაიმ კი საივლისო ტრადიცია ვერც გუშინ დაარღვია და მოგებას ისევ წაგება მიაყოლა. ლევან ცაგურიამ და ექსოძეკი მიაბიამამ ერთმანეთს ცუპარებით შეუტიეს. უფრო მძლავრი მიაბიამა აღმოჩნდა.

მეთერთმეტე ტურში ჩვენებურის მეტოქე კისენოსატო იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# კადეტებმა ახალგაზრდების წყალი ინატრეს

## პროგრამა მაქსიმუმი: A დივიზიონი

**ახალგაზრდებმა** ხომ შეინარჩუნეს A დივიზიონში ადგილი და ახლა კადეტების ჯერია. საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ხვალ საბერძნეთში მიემგზავრება, სადაც კუნძულ კრეტაზე ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. ქართველთა მეტოქეები ჯგუფში იტალიის, ესპანეთისა და სლოვენიის მძლავრი გუნდები იქნებიან. ქართველთა მიზანი, ახალგაზრდებისა არ იყოს, A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა. ოღონდ კადეტებს მართლაც პროგრამა-მაქსიმუმად აქვთ უძლიერესთა შორის დარჩენა დასახული, რადგან, ჯერ ერთი, სიკვდილის ჯგუფში მოხვდნენ და მეორეც, ჩვენი 16-წლამდელები აშკარა აუტსაიდერები არიან. ვიყოთ რეალისტები და, ჯგუფიდან გასვლას მიხეილ კობეშავიძის სამწყსო ალბათ ვერ მოახერხებს. შედეგად, ჩვენებს ნუგეშად კიდევ სამ აუტსაიდერთან დამატებითი მატჩები დარჩებათ, სადაც ორი მეტოქის ჯობნა იქნება საჭირო A დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად...



გურამ ფალავანდიშვილის ფოტო

გუშინ კადეტთა ნაკრები კაფე „მსოფლიოს სპორტში“ შეიკრიბა და მწვრთნელები ჟურნალისტებს გეგმებსა და შანსებზე გვესაუბრნენ.

**მიხეილ კობეშავიძე, კადეტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— 2 კვირა თელავში გავიარეთ შეკრება, სადაც ძირითადად ფიზიკურად ვემზადებოდით, ხოლო სათამაშო პრაქტიკა უკვე თურქეთში, ახლახან დასრულებულ შავი ზღვის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებზე მივიღეთ. თურქეთში იუნიორთა ასაკის ტურნირი გაიმართა, ანუ იქ 18-წლამდელთა ნაკრებებმა მოიყარეს თავი. ჩვენმა ნაკრებმა 2 წლით უფროსებთან ითამაშა და საკმარისი გამოცდილებაც მიიღო. ეს რომ არა, პრაქტიკულად უიმედოდ ჩავიდოდით ევროპის ჩემპიონატზე, სადაც უძლიერეს ჯგუფში მოგვიწევს თავის გატანა...

— ბოლო სამი წელია, ესპანეთი ან ჩემპიონი ხდება, ან ფინალში გადის. სლოვენია თითქმის სულ ხუთეულშია, იტალიაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ ისეთ ჯგუფში მოვხვდით, სიკვდილისას რომ უწოდებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უიმედოდ ვართ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ A დივიზიონში თავი როგორმე შევინარჩუნოთ. ვიცით, რომ ამის გაკეთება ურთულესი იქნება, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ. ამ ტურნირზე გათამაშების ზუსტად ისეთი სისტემა იქნება, როგორც ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იყო. ანუ თუ ჯგუფიდან გავედით, A დივიზიონში ადგილს ავტომატურად შევინარჩუნებთ. თუ ვერ მოვახერხეთ გასვლა, კიდევ გვრჩება შანსი და ჩვენც ყველაფერს გავაკეთებთ, მის გამოსაყენებლად...

— მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ახალგაზრდულ ნაკრებს წარმატება მივულოცო. ნეტა, ჩვენც მისი წყალი გადაგვესხას და A დივიზიონში დავრჩეთ. ფედერაციამ ყველა პირობა შეგვიქმნა, რომ კარგად მომზადებულიყავით და ჩვენც ცდა არ დაგვიკლია. მართალია, ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ საწუწუნოდ საქმე არ გვაქვს. უნდა ვიბრძოლოთ და მიუღწეველი არაფერია...

კობეშავიძის თანაშემწე **გია კაზანჯიანმაც** თქვა ორიოდ სიტყვა:

— ვერ ვიტყვით, რომ ამ გუნდის წევრებს ერთად თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. თუ წარმატების მიღწევა გვინდა, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ბრძოლისუნარიანობა — აი, საქართველოს კადეტთა ნაკრების მთავარი იარაღი.

**ირაკლი პერტაია**

20 ივლისი
**საქართველო — ესპანეთი**

21 ივლისი
**საქართველო — იტალია**

23 ივლისი
**საქართველო — სლოვენია**

### საქართველოს კადეტთა ნაკრები

ტატო თავართქილაძე (აკადემია), გიორგი ვაშაყმაძე (მართვე), თორნიკე შენგელია (მართვე), გიორგი ელანიძე (თსუ), გიორგი გლოველ ი (მართვე), გივი ბაქრაძე (კონსტანტა), მერაბ ბოქოლიშვილი (აკადემია), ბექა ჩიკვილაძე (თსუ), აკაკი დვალიშვილი (აზოტი), ირაკლი მაღლაკელიძე (მართვე), დავით იოსელიანი (მართვე), ლევან სულაბერიძე (აკადემია), გიორგი ხეთაგური (აკადემია), ლუკა ჭოხონელიძე (მართვე).

# ფეხმტკივან სანიკიძეს ნაკრები დაენია

## ვიქტორი იუტაში: 15 ქულა და 6 მოხსნა ფილადელფიასთან

**ლას ვეგასის** საზაფხულო ლიგის დასრულების შემდეგ ვიქტორ სანიკიძის „სან ანტონიო სპურზმა“ იუტაში გადაინაცვლა და სოლტ ლეიკ სიტის ანალოგიურ შეჯიბრში ჩაება. „როკი მაუნთინ რევიუ“ — ასე ეწოდება საზაფხულო ლიგას, რომელშიც თავის დროზე ნიკა ცქიტიშვილს არაერთხელ უთამაშია. ახლა კი ეს ლიგა ვიქტორ სანიკიძემაც დააჭაშნიკა, თუმც ეროვნული ნაკრების გამო „ვიკამ“ ნაადრევად დატოვა იუტა და საქართველოში გამოემგზავრა.

სანიკიძემ სოლტ ლეიკ სიტიში ორი მატჩი ითამაშა და ერთში განსაკუთრებით იყოჩაღა. 13 ივლისს „სან ანტონიომ“ „ფილადელფიასთან“ 75:91 რომ წააგო. ქართველი ფორვარდმა 25 წუთში 15 ქულა, 6 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. სანიკიძემ ბრწყინვალედ ითამაშა და მანამდე მასზე სიტყვა რომ არ დაწერილა სალიგო დღიურებში, ახლა ჟურნალისტთა ყურადღებაც მიიქცია.

ამერიკელებმა გამოარჩიეს ვიქტორის მარჯვე თამაში და სიჯეი უატსონთან ერთად მას სანანტონიელთა ლიდერი უწოდეს. უატსონმა 30 წუთი ითამაშა და 18 ქულას და 6 მოხსნას მოუყარა თავი.

მეორე დღეს „სან ანტონიო“ „ატლანტას“ ხვდებოდა და მწვრთნელმა სანიკიძე უკვე ხუთეულში გაამწესა. „ვიკამ“ დაიმსახურა დამწყებთა შორის ადგილი, მაგრამ მას ფეხმა უმტყუნა, რომელიც ჯერ კიდევ ლას ვეგასში დაიშავა.

„ატლანტასთან“ ვიქტორ სანიკიძემ ქუსლის ტრავმის გამო 10 წუთიც არ უთამაშია — იუწყება ერთ-ერთი იუტური გაზეთი — მისთვის სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო ლიგა დასრულებულია, ოღონდ ტრავმის გამო კი არა... 2004 წლის დრაფტის მეორე რაუნდში არჩეული სანიკიძე ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და „ატლანტასთან“ მატჩის შემდეგ სამშობლოში მიემგზავრება“.



გურამ ფალავანდიშვილის ფოტო

გუშინ „სან ანტონიო“ „იუტას“ შეხვდა, სანიკიძე კი განაცხადშიც არ იყო...

**ირაკლი პერტაია**

# დარკო დათვის ბუნაგში



**დარკო მილიჩიჩმა** ახალი ნავსაყუდელი იპოვა. ძველ კლუბ „ორლანდოსგან" თავხედურად ბევრი თანხის მოთხოვნის და უარის შემდეგ სერბმა ცენტრმა „მემფის გრიზლიზისგან" მიიღო მიწვევა და შეუთანხმდა კიდეც ამ გუნდს, ოღონდ ისე, რომ მხარეებს კონტრაქტის დეტალები არ გაუხმაურებიათ.

„ის მხოლოდ 22 წლისაა და ჩვენს ლიგაში უკვე 4 სეზონი აქვს მილეული — ახალი შენაძენით კმაყოფილია „დათვების" გენერალური მენეჯერი კრის ვოლესი — ის უკვე გამოცდილი და მრავლისმნახველი კალათბურთელია. „დეტროიტში" მას საშუალება ჰქონდა, ჩემპიონობის სურნელი შეეგრძნოსა, „ორლანდოში" დუაიტ ჰოვარდთან წყვილში ეთამაშა, ჩვენ კი გვყავს მწვრთნელი მაიკ იავარონი, რომელიც განთქმულია თავისი უნარით, ნიჭიერი მოთამაშეები ნამდვილ ოსტატებად აქციოს და ის დარკოსგანაც ჭეშმარიტ ვარსკვლავს შექმნის."

მილიჩიჩი კი ამბობს — „იმედი მაქვს, გუნდს პლეი ოფში გასვლაში დავეხმარები."

ჩვენ კი ვთქვათ — „მემფისი" წინა სეზონის უარესი გუნდი იყო და პლეი ოფისთვის ბრძოლას სეზონის დასაწყისშივე გამოეთიშა.

# მაიამის მო მოელანდა



**მილუოკელი** თავისუფალი აგენტი მო უილიამსი „მილუოკიშივე" რჩება. წინა სეზონში „ბაქსის" ძირითად გამთამაშებლად ჩამოქნილმა უილიამსმა ძველ გუნდთან 6-წლიანი და 52-მილიონიანი კონტრაქტი დადო და კოვზი ნაცარში ჩაუგდო „მაიამი ჰითს", რომელსაც ეს მოთამაშე თავის მთავარ სამიზნედ გამოეცხადებინა ამ სეზონთაშორის პერიოდში. 2007 წლის პლეი ოფში ჩავლავების შემდეგ 2006 წლის ჩემპიონ „მაიამის" წინა სეზონში საშუალოდ 17,3 ქულის და 6,1 პასის მკეთებელი უილიამსის აყვანა სწყუროდა, მაგრამ ფლორიდული კლუბი მეორე კურდღელსაც გამოეკიდა — „პორტლენდიდან" ახლახანს გამოქცეულ სტივ ფრენსისსაც შეაძლია მილიონები და გუნდის ძირითადი გამთამაშებლის ადგილი და ამის გამო უილიამსთან გარიგება ჩაეშალა. ახლა საკითხავია, ფრენსისს მაინც თუ დაიყოლიებს „მაიამი".

## ჰარტი იუტაში, ფიშერი ლეიკერსში

**„იუტა ჯაზს"** დიდხანს არ უძებნია გუნდიდან წასული დერეკ ფიშერის შემცვლელი. მალე მიაგნო და კონტრაქტიც გაუფორმა თავისუფალ აგენტ ჯეისონ ჰარტს, რომელმაც წინა სეზონში ორ გუნდში თამაში მოასწრო — „ლოს ანჯელეს კლიპერსში" და „საკრამენტო კინგზში" და საშუალოდ 6,9 ქულა, 2,9 პასი და 2,7 მოხსნა აკეთა. ჯერი სლოუნის გუნდში სასტარტო ხუთეულში გარანტირებული ადგილი არავის აქვს, მაგრამ ეს ახალწვეული მაინც სტარტერად მოიაზრება.

ფიშერი კი კარიერას „ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გააგრძელებს, ანუ იქ, სადაც 11 წლის წინ დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ის „იუტადან" წავიდა, რათა ავადმყოფი შვილისთვის მიეხედა. მის პატარა გოგონას თვალის კიბო აქვს და ფიშერმა თქვა, თუ საჭირო იქნება, საერთოდ შევეშვები თამაშს, ხოლო თუ ვითამაშებ, მაშინ იმ ქალაქის გუნდში, სადაც ჩემი შვილის მკურნალობა იქნება შესაძლებელი.

## ერთგულება და მერე ფული



**„დალას მავერიკსის"** 31 წლის სათადარიგო მოთამაშემ, ამ ზაფხულს თავისუფალ აგენტად ქცეულმა ჯერი სტეკჰაუსმა თავის გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა — ის კიდევ 3 წელი ითამაშებს „მავერიკსში" და მხოლოდ 11 მილიონ დოლარს მიიღებს. მისი კლასის და სარგებლიანობის მოთამაშეს თავისუფლად შეეძლო, დაახლოებით წლიური 6-7 მილიონიანი ჯამაგირის მიმცემი გუნდი მოეძიებინა, მაგრამ სტეკჰაუსმა „დალასს" უერთგულა. ჩანს, მას სჯერა, რომ „მავერიკსს" კვლავ აქვს ჩემპიონობის შანსი.

## ნბა შარიანებს სჯის

**რეგულარული** სეზონი ჯერ არც დაწყებულა და ნბა-მ უკვე ორი მოთამაშე დასაჯა უდისციპლინობისთვის. საკრამენტოელი რონ არტესტი და გოლდენსტეიტელი სტივ ჯეკსონი 2007-08 წლების სეზონის საწყის 7-7 მატჩს გამოტოვებენ სულ სხვადასხვა მიზეზით — ჯეკსონს ასოციაცია ინდიანაპოლისის ერთ-ერთ ბარში ატეხილი ჩხუბისთვის სჯის, არტესტს კი ცოლის რეგულარული ცემისთვის და ამის გამო წამდაუწუმ სასამართლოებში სირბილისთვის.

შევნიშნოთ, რომ არტესტი და ჯეკსონი ოდესღაც თანაგუნდელები იყვნენ „ინდიანაში" და ორივე მონაწილეობდა 2004 წელს დეტროიტში გულშემატკივრებთან მომხდარ გახმაურებულ დაკა-დაკაში.

## ნიუ ჯერსიმ ჯერი მიუშვა



ჯამალ მაგლორი

**რამდენიმე** ცვლილება მოხდა „ნიუ ჯერსი ნეთსში". კლუბმა პორტლენდიდან წამოიყვანა ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე უხეში და ბინძური მოთამაშე ჯამალ მაგლორი, რომელიც ამას წინათ „სან ანტონიოში" გაქცეული მიკი მურის ადგილს შეავსებს. მურმა კი „სან ანტონიოსთან" ახლახან გააფორმა 3-წლიანი და 18-მილიონიანი კონტრაქტი. „ნიუ ჯერსიში" მას წლიურ 3-4 მილიონს სთავაზობდნენ და ძირითად ცენტრ ნენად კრსტიჩის თადარიგში ამწესებდნენ და რა გასაკვირია, რომ მური ჩემპიონ გუნდში გაიქცა. გარდა ამისა, „ნიუ ჯერსიმ" გაუშვა ბებრეკი თავდამსხმელი კლიფ რობინსონი, რომელიც ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანია, 40 წლისა გახლავთ და ნბა-ში 1989 წლიდან თამაშობს.

**კოტე ყორშია**





# მსოფლიოს ქართული დებიუტი

## გშტაადი ნაღდია, პეკინი საიმედო

**24-29 ივლისს შვეიცარიულ გშტაადში პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. უძლიერეს 48 წყვილს შორის ბრაზილიელი ქართველებიც მოხვდნენ. გეორ და გია და საქა და რთველო ამჟამად მარსელის მსოფლიოს ტურზე თამაშობენ და შვეიცარიაში 23-ში ჩავლენ. მომავალ ტურნირზე და ოლიმპიურ ციკლზე სასაუბროდ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა გუშინ ჟურნალისტები თავის კაბინეტში მიგვიწია**

„ჩვენი ნაკრებების მსოფლიოზე გასვლა უდიდესი წარმატებაა ქართული სპორტის ისტორიაში. თვეების წინ ამაზე ფიქრიც კი ძალიან ძნელი იყო. ორივე წყვილმა ურთულესი გზა გაიარა. მსოფლიოს ტურებში მეხუთე, მეშვიდე და მეცხრე ადგილებზეც გავიდნენ. გამორჩეულად გეორისა და გიასი გვეიმედებოდა. სერიოზული დუეტია და რაც მთავარია, მწვრთნელადაც უძლიერესი სპეციალისტი ჰყავთ, მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონების ყოფილი თავკაცი. საქამ და რთველომ კი მართლა სასიამოვნოდ გაგვაკვირვეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე პლაჟბურთელები ბოლო ხუთ ტურზე მოპოვებული ქულებით მიიწვიეს. კაცებს მშვენიერი რეიტინგი ჰქონდათ, ქალებმა კი კანადური ტურის მეცხრე ადგილით გაინაღდეს საგზური" — გვითხრა ახვლედიანმა.

პრეზიდენტისვე თქმით, შვეიცარიულ ჩემპიონატზე მოპოვებული ქულებით წინასაოლიმპიადო რეიტინგში გვარიანი მარაგის შექმნა შეიძლება. ქართული წყვილებიც აქედანვე უფრო მაღალ მიზნებზე, მედლებზე ფიქრობენ.

ოლიმპიადის სალიცენზიო ციკლი წლეულს, 1 იანვარს დაიწყო და მომავალი წლის 20 ივლისამდე გასტანს. ამ პერიოდში მსოფლიოს 32 ტური ჩატარდება და პეკინის საგზურს 24-24 საუკეთესო წყვილი მიიღებს. საქართველოს სახელით მობურთალ წყვილებს შესაძლოა ოცდაათეულს გარეთ დარჩენაც ეყოთ, რადგან ბევრი ქვეყნიდან ოლიმპიადისთვის რამდენიმე დუეტი იბრძვის. 24-ში სულაც ხუთი რომ მოხვდეს, პეკინში მხოლოდ საუკეთესო წავა.

აქამდე ჩვენს ნაკრებს ცხრა ტური აქვს ნათამაშები და საბოლოო რეიტინგი დღეს რომ ითვლებოდეს, ჩინეთში ორივე წყვილი მოხვდებოდა. აქვე დავაზუსტოთ, რომ სალიცენზიო ციკლის დასრულების შემდეგ ნაკრებებს რვა-რვა ყველაზე მაღალშედეგიანი ტურის ქულებს შეუჯამებენ.

ექვს დღეში დასაწყებ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალების და კაცების 48-48 გუნდი თორმეტ ოთხწყვილიან ჯგუფში გადანაწილდება. ჯგუფური ეტაპიდან ორ-ორი უძლიერესი და რვა საუკეთესო მესამეადგილოსანი გავა და მეთექვსმეტედფინალში ჩაერთვება.

**ოთარ ბალლაძელიძე**




გეორ და გია

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# იაპონელთა ქართველი კერპი

## ხერხი სჯობია ღონითა



**შოთა ჩოჩიშვილი ჩემი და ჩემი თანატოლების კერპი იყო. ყველანი მას ვბაძავდით და მასავით ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ვოცნებობდითო, ამბობს თავადაც ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი. ოლონდაც, შოთა ჩოჩიშვილი არა მხოლოდ შოთა ხაბარელისა და მისი თანატოლების, არამედ სხვათა კერპიც იყო, მათ შორის თავად ძიუდოს ფუძემდებელი იაპონელებისაც. ქართველ ფალავანს ტატამზე „ამომავალი მზის" ქვეყნის ვარსკვლავები არაერთხელ დაუმარცხებია: აქეთ სასაჰარა და ნინომია, იქით — შიგამაცო, ნიკამურა და სხვები. ამიტომაც იაპონიაში უცხოელთაგან შოთა ჩოჩიშვილის სახელი განუზომლად პოპულარული გახდა და იქაურებმა თავიანთ შვილებს მის საპატივცემულოდ შოთა მრავლად დაანათლეს.**

**შოთა ჩოჩიშვილი მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ძიუდოში. იგი არის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატების ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედლის მფლობელი, კიდევ მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ქვემოთ კი იგი მიუნხენის ოლიმპიურ სარბიელზე თავის უმთავრეს გამარჯვებას იხსენებს.**

**ავთანდილ გურასაშვილი**

**მიუნხენის** ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება, რა თქმა უნდა, ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე გამორჩეული წარმატებაა. ჟურნალისტები ზოგჯერ მეკითხებიან, მაშინ, მიუნხენში, შეჯიბრების დაწყებამდე მაინც რას გეგმავდი, რომელი ადგილის დაკავება გეიმედებოდაო, მე კი ვპასუხობ, რომ არც არაფერს ვგეგმავდი-მეთქი. ერთი რამ ვიცოდი, უნდა გავსულიყავი, მეჭიდავა და არ წამეგო. მაშინ სრულიად გამოუცდელი ვიყავი. პრაქტიკულად, არანაირი ტიტული არ მქონდა. ამიტომ არც მეტოქეები მიცნობდნენ, არც მათი მწვრთნელები. ეგ კი არა, საქართველოშიც კი მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე თუ მიცნობდა. ან საიდან უნდა სცოდნოდათ ჩემზე, როცა ძიუდოში ვარჯიშის სულ რაღაც ერთწლიანი სტაჟი მქონდა.

ალბათ იკითხავთ, კი მაგრამ, ძიუდოში სრულიად უცნობი ოლიმპიურ თამაშებზე და საერთოდ საბჭოთა ნაკრებში როგორ მოხვდიო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, როგორც ყველა ჩემი თანატოლი თანასოფლელი, მეც ქართული ჭიდაობით ვიყავი გატაცებული. საერთოდ, ჭიდაობა ჩვენს ოჯახში და ახლო ნათესაობაში ძალიან პოპულარული იყო. მამჩემი, სამსონიც მოჭიდავე იყო. ჩემზე მსხვილი მაჯები ჰქონდა. ცხონებული რვა წლის წინათ გარდაიცვალა. ვისაც ნახერხმოყრილ სოფლის სარბიელზე იმისი გამოსვლა უნახავს, ყველა მეუბნება, ძალიან ლამაზად ჭიდაობდაო. ბიძაჩემი — დედის ძმაც კარგად ჭიდაობდა. ასევე კარგად ჭიდაობდნენ ჩემი დეიდაშვილები, მათგან ძიუდოისტი კობა კურტანიძე, როგორც იტყვიან, ჩემს ხელში გაიზარდა და მართლაც ყველა გვასახელა, როცა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში კი შვიდი ოქროს მედალი დაიმსახურა. ასე რომ, ჩემ მოჭიდავედ ჩამოყალიბებაში, ეტყობა, გენებმაც დიდი როლი ითამაშა.

ახლა, წარსულს რომ ვიხსენებ, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემს ფსიქოლოგიურ აღზრდაში წვლილი მიუძღვით დედაჩემსა და ბებიაჩემს — მამის დედას ალექსანდრა დედაბრიშვილს. ბებო ძალიან მკაცრი იყო, კაი სახრეც ეკავა. გუშინდელივით მახსოვს, ერთხელ შაქარმოყრილი ფუნთუშა გამოვტაცე და იმ თავისის სახრით გამომიდგა. ბებო ძალიან მიყვარდა. უმისოდ არ ვიძინებდი. გავქანდებოდი ხოლმე და ლოგინში შევუგორდებოდი, ის კი ზღაპრებს მიამბობდა.

დედაჩემი, რუსუდან ცხოვრებაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. სოფელში ნახერხმოყრილ სარბიელზე რომ ვჭიდაობდი, სულ მაქეზებდა და მამხნევებდა, ბიჭო, ამასთან როგორ უნდა წააგოო. როცა ნამდვილი მოჭიდავე გავხდი, მართალია, იშვიათად ვაგებდი, მაგრამ დედა ამას ძალზე განიცდიდა.

ცოტა სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ჩემი მოჭიდავედ ჩამოყალიბების ამბავს ბევრი დააკლდებოდა, თუ მშობლებზე და ნათესაობაზე არ გიამბობდით.

ერთი სიტყვით, ქართული ჭიდაობით დავიწყე, ერთ მშვენიერ დღეს კი, ეს ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე იყო, დავადე თავი, ჩავედი გორში და ძიუდოს დარბაზში გურამ პაპიტაშვილს გამოვეცხადე.

პაპიტაშვილი იმ დროს უკვე დიდად სახელგანთქმული მწვრთნელი იყო, თურმე ქართულ ჭიდაობაში მაკვირდებოდა და მოვწონდი. გორში გამომცადა, მავარჯიშა და ამასობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირიც მოახლოვდა. მითხრა, ჩადი თბილისში, ამა და ამ მისამართზე საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ ბიძინა მაზიაშვილთან მიდი, უთხარი, რომ მე გამოგგზავნე და ტურნირისთის გუნდში დაგაყენოსო. მეორე დღესვე დილაუთენია წამოვხტი, 5 საათზე ვალე-თბილისის მატარებელში ჩავჯექი და ბიძინას თავზე დავადექი. პაპიტაშვილის ნათქვამი რომ გადავეცი, შეიცხადა, ამათვალ-ჩამათვალიერა და მითხრა, აბა, გუნდში სად დაგაყენო, ნაკრები უკვე დაკომპლექტებულია. აი, მუზაშვილს და კიდევ ერთი-ორს თუ მოუგებ, ტურნირზე გამოგიყვანო. ერთსაც მოვუგე და მეორესაც. ბიძინა მაზიაშვილი გაკვირვებული მიყურებდა. ცხონებული სიტყვის კაცი ყოფილა, გუნდში მართლაც დამაყენა და პირველი ბრძოლა გერმანელ ვებერთან მომიხდა. ქართულ ჭიდაობაში ნაცადი ამოსმა გავაკეთე და დავახეთქე. დანარჩენი შეხვედრებიც წმინდად მოვიგე და ფინალში ისევ ვებერს შევხვდი. ისევ ერთი ამოსმა, დახეთქება და ჩემს ცხოვრებაში პირველად ჩემპიონი გავხდი.

საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადლენ ანდრეევი გადაირია, ყველას ეკითხებოდა, ვინ არის ეს ბიჭი, სად გამოჩხრიკეთო. გავიდა ერთი კვირა და ანდრეევმა მოსკოვში გამომიძახა. იქაც ყველა შეხვედრა მოვიგე და, როგორც იტყვიან, მისი „ლუბიმჩიკი" გავხდი. მკაცრი მწვრთნელი იყო, მაგრამ მე მუდამ კორექტულად მექცეოდა. მერეღა გავიგე, რომ თურმე გურამ პაპიტაშვილს ჩემს თაობაზე წერილი გაუგზავნია, ამისგან მაგარი ძიუდოისტი დადგება, ოღონდ თავისებურია და სათუთი მოპყრობა უნდაო. მაშინ საბჭოთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შეხვედრა მოვიგე, ანდრეევმა მითხრა, ჯერ გამოუცდელი ხარ, წინ კი დიდი მომავალი გაქვსო. წასახალისებლად ინგლისში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირზე გამიშვეს, იქაც ყველა შეხვედრა მოვიგე და კიმონოს დავიწყება მთხოვეს, მაგრამ ანდრეევმა ჩემი თავის არავის დაანება.

ამ კაცს ძალიან ვაფასებ და ვემადლიერები. ის რომ არა, ალბათ ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი არ იქნებოდა. თავად ანდრეევიც ძალიან მაფასებდა. ჩემი სპორტული კარიერის დამთავრების მერე ამბობდა, ყველა დროის სამი უძლიერესი ძიუდოისტი რომ დავასახელოთ, შოთა ჩოჩიშვილი იქ მოხვდებაო.

საერთოდ, ანდრეევი ქართველ ძიუდოისტებს დიდად გვწყალობდა და გვაფასებდა. მისი გუნდის წევრთა ნახევარს მუდამ ქართველები შევადგენდით. ასე იყო თუ ისე, ოლიმპიური თამაშებიც მოახლოვდა და ანდრეევმა შეკრებაზე მიხმო.



ერთ-ერთი სპარინგისას, ოლიმპიურ თამაშებამდე ოციოდე დღე რომ რჩებოდა, თანაგუნდელი ზოტოვი წამოვიკიდე, მაგრამ ჩემსავე წამოწყებულ ილეთზე თავად კისრით დავეცი, ზემოდან მეტოქე დამეცა და გონება დავკარგე. თვალები რომ გავახილე, ვხედავ, ლოგინში ვწევარ, თავზე კი პაპიტაშვილი წამომდგომია. ვიფიქრე, სიზმარია, ან ლოგინში რა მინდა, ან საქართველოში დარჩენილი პაპიტაშვილი აქ საიდან გაჩნდა-მეთქი. თურმე ორი დღე უგონოდ ვყოფილვარ და პაპიტაშვილს ეს რომ გაუგია, გულგახეთქილი უმალ მოსკოვში გადმოფრინდა. მერე ლამის კისერმოტეხილი კაცი საქართველოში გაწბილებული ვბრუნდები, მრცხვენია და სოფელში ველარ ჩავდივარ, დაშავებული არც დარბაზში მივდივარ და გორის ქუჩებში ვსეირნობ. სამი დღის მერე ნაცნობები მეუბნებიან, სად ხარ, პაპიტაშვილი გამწარებული გეძებსო. თურმე მოსკოვში დაბრუნებულა, ანდრეევი დაურწმუნებია, ჩოჩიშვილი დააბრუნეთ, საშიში არაფერია, ტკივილი გაუვლის და ყველაფერი კარგად იქნებაო. ჰოდა, მომცეს 60 მანეთი, ჩამსვეს თვითმფრინავში და მოსკოვში დამაბრუნეს.

ფეხზე ძლივს ვდგავარ, ჩვარივით ვარ, მაგრამ ანდრეევი მაინც მაჭიდავებს. ვისაც ხელს ვკიდებ, ყველას ვაქცევ და ეს ძალიან მიკვირს. თურმე ანდრეევს უეშმაკია და ყველა გაუფრთხილებია, წაიქეცითო, რათა მე რწმენა და ხალისი დამბრუნებოდა.

რწმენა და ხალისი ისედაც არ მაკლდა, თუმცა ვგრძნობდი, ტრავმის მერე ჯანზე ვერ ვიყავი, მაგრამ ძალა მალე აღვიდგინე. ოლიმპიურ თამაშებზე ლამის ყველა შეხვედრა წამებში მოვიგე. არადა, მრისხანე მეტოქეები მყავდა, მაგრამ მე მოწინააღმდეგეებს არ ვიცნობდი და არც მათი ტიტულები ვიცოდი. მანამდე არც ოლიმპიური თამაშებისა გამეგებოდა რამე. ახლა იმ ბრძოლებს კინოფირზე რომ ვუყურებ, მიკვირს, იმ ილეთებს როგორ ვაკეთებდი და ვიმარჯვებდი. მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე და შემდგომაც არცერთი ბრძოლა მახრჩობელა ილეთით არ მომიგია. კარიერა ისე დავასრულე, რომ კაცი არ შემიბოჭავს და არც მტკივნეულ ილეთზე დამიჭერია ვინმე. ასეთ ილეთებს ვერც ჩემს წინააღმდეგ იყენებდნენ. ტატამზე — გა[illegible]რაობით ჭიდაობა [illegible] ქართული ჭიდაობის [illegible] დგომელა გავდიოდი, წელში კი ვერავინ მივარდებოდა. მეტოქეს ჩემთან ახლოს ვუშვებდი, ბრძოლისას ზოგჯერ მაჯებსაც მიკავებდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგე როგორც არ უნდა მომდგომოდა, კონტროლეთი მუდამ მზად მქონდა. ქართული ჭიდაობის ილეთებთან ერთად ფიზიკური ძალაც ძალიან მეხმარებოდა. ზოგჯერ სწორედ მხოლოდ ღონის წყალობით ვიგებდი. ყოველივე ამაში რაღაც ზებუნებრივი იყო, განგების ძალა მეხმარებოდა. ჩემს გამარჯვებებში ღმერთის ხელი ერია. ის ტრავმაც კი სასიკეთოდ წამადგა — ძიუდოსგან და ვარჯიშისგან დავისვენე და რამდენიმე დღით განვიტვირთე. მიუნხენში ტურნირის დაწყების წინ კი მესიზმრა, რომ ტატამზე თეთრწვერა, თეთრადშემოსილ მშვიდ მოხუცს გავყავდი. მისი სიმშვიდე მეც გადმომედო, გავედი სარბიელზე და ჩემ წინ კორეელი ჩყო დუ იონგი დადგა, თავი დამიკრა, მომესალმა და იქვე დამემშვიდობა. ახლაც არ ვიცი, ჭიდაობაზე რატომ თქვა უარი.

მეორე შეხვედრა იაპონელ ფუმიო სასაჰარასთან მქონდა. თურმე იაპონელთა მთავარი და უძლეველი ჯილა ყოფილა, თანაც ტიტულებით დახუნძლული, მაგრამ მე ეს არ ვიცოდი. მეექვსე წუთზე ერთი კარგად ჩავავლე ხელი, ტომარასავით კისრულით წამოვიღე, ამოვაყირავე და ტატამზე დავახეთქე. ჩემი გამარჯვება და სასაჰარას მარცხი ყველამ სასწაულად აღიქვა. ბრძოლის მერე მოდის ანდრეევი და მეუბნება, ახლა უეჭველად ფინალში გახვალ, სასაჰარაც უკან გამოგყვება და იქ დაგხვდება, მაგრამ ეს ის კაცი არ არის, ვინც ერთ მეტოქესთან მეორედაც წააგებს, თანაც ზედიზედო. მერე მითხრა, ახლა შენ ინგლისელ დეივიდ სტარბროუკს ხვდები, თუ მასთან წააგებ, სასაჰარა ტურნირს გამოეთიშება, შენ დანარჩენ შეხვედრებს მოიგებ, სტარბროუკიც მოიგებს და ფინალური შეხვედრა თქვენს შორის გაიმართება, იქ კი, დარწმუნებული ვარ, შენ გაიმარჯვებო.

ერთი სიტყვით, ანდრეევს ჩემთვის მთელი ტურნირის ტაქტიკა და სტრატეგია შემუშავებული ჰქონდა. როგორც იწინასწარმეტყველა, ყველაფერი ისე მოხდა. სტარბროუკთან წავაგე, მერე ფრანგი პიერ ალბერტინი 15 წამში წმინდად დავამარცხე, მას ამერიკელი ჯეიმს უილი მოჰყვა. ორივე მაჯაზე ხელი მომკიდა, მაგრამ ალბათ ახლაც კი არაა აზრზე, წუთსა და 37 წამში როგორ მოვუგე. ნახევარფინალში გერმანელ ბარტს წუთსა და ხუთ წამში წონასწორობა დავაკარგვინე და წმინდად დავამარცხე, სტარბროუკი კი ფინალში გაჭირვებით, მსაჯთა გადაწყვეტილებით გავიდა.

დაბოლოს, გადამწყვეტი შეხვედრაც. რაკი აქ უკვე ოქროს ბედი წყდებოდა, ცოტას ვფრთხილობდი და მაინც, სტარბროუკმა ქულაც ვერ ამართვა და მშრალი ანგარიშით დავამარცხე. სიხარულით გაგიჟებული ანდრეევი მოვარდა და გადამეხვია. მეც, რაღა თქმა უნდა, ძალიან გახარებული ვიყავი, თუმცა მაშინ ბოლომდე ვერც კი ვხვდებოდი, თუ რას ნიშნავდა ეს გამარჯვება და ოლიმპიური ჩემპიონობა.




# კორექტული ხალხი

## ვიტალიმ და ჯამილმა მუშტები სექტემბრისთვის შეინახეს

**ვიტალი კლიჩკოს** კრივში დაბრუნებას მიეძღვნა მიუნხენში გამართული პრესკონფერენცია. მოგეხსენებათ, WBC-სა და WBO-ს ვერსიებით ექსჩემპიონი სექტემბრის დასაწყისში ჯამილ მაკლაინს დაეტაკება. ჰოდა, ბავარიის დედაქალაქში მოკრივეებმა და მათმა წარმომადგენლებმა ჩვეული წინა საბრძოლო მოთელვა გაიარეს — ბევრი ილაპარაკეს საკუთარ ამბიციებზე და მიზნებზე. თუმცა აქვე დავამატოთ, რომ როგორც კლიჩკომ, ისე მაკლაინმა საკმაო პატივისცემა გამოავლინეს ერთმანეთის მიმართ და ფერნანდო ვარგასისა და რიკარდო მაიორგასგან განსხვავებით, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ პრესკონფერენციაზე მუშტი-კრივი გამართეს, შეხვედრაც ცივილიზებული ფორმებით დაამთავრეს.

მიუნჰენში თავიდან სიტყვა ბრძოლის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ბერნდ ბენტემ აიღო, რომელმაც განაცხადა, რომ ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულა და პირველივე დღეს 1500 გასაღდა და ეს კიდევ ერხთელ მიუთითებს გერმანიაში ვიტალი კლიჩკოს არნახულ პოპულარობაზე.

ამის შემდეგ მოკრივეთა და მათი წარმომადგენლების ჯერი დადგა. პირველმა მაკლაინის მენეჯერმა სკოტ პირშმა ისაუბრა, რომელმაც თავისი კლიენტის შანსები ოპტიმისტურად შეაფასა და კლიჩკო გააფრთხილა, ჯამილს სერიოზულად მოეკიდეო:

„ჯამილისთვის ეს დიდებული შანსია დაამტკიცოს, რომ მძიმეწონოსანთა შორის ის ერთ-ერთი საუკეთესოა. ამასთანავე მინდა, მადლობა გადავუხადო ვიტალის, რომელმაც ჯამილს ამ ჩხუბის შანსი მისცა. თუმცა მისტერ კლიჩკოს აქვე გავაფრთხილებდი, რომ იოლ ბრძოლას ნუ დაელოდება. ჯამილი ამ ბრძოლისთვის მაქსიმალურად იქნება მზად. ჩვენი მეტოქე საკრივო შეხვედრისთვის კი არა, ნამდვილი ომისთვის უნდა მოემზადოს".

იმედიანად არის თავად მაკლაინიც:

„ეს ჩემი შანსია არა მარტო ელიტაში დასაბრუნებლად, არამედ გამარჯვების შემთხვევაში საშუალება მომეცემა რომელიმე ქამრის პრეტენდენტად ვიქცე. ნიკოლაი ვალუევთან წაგების შემდეგ დიდხანს და მწარედ მაკრიტიკეს, მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო — ფეხი დამიცდა და მუხლი დავიზიანე, თორემ რუსს არაფერში ჩამოვრჩებოდი. თუმცა ვიტალისთან იგივე არ განმეორდება — მასთან შეხვედრისთვის ათჯერ უკეთეს ფორმაში ვიქნები. ან რინგზე მოვკვდები, ანაც მოვიგებ ამ ბრძოლას".

კლიჩკოს მხრიდან კი მისმა ახალმა ძველმა მწვრთნელმა ფრიც ზდუნეკმა ილაპარაკა, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა უკრაინელის დღევანდელი ფორმით და იქვე დაამატა, რომ სექტემბრისთვის ვიტალი აუცილებლად საუკეთესო ფორმაში იქნება.

თავად უკრაინელი კი ჩვეულად კორექტული იყო და ძირითად მეტოქის ქებაში დახარჯა დრო — არ უყვარს ამ კაცს ბაქიაობა და რა ქნას:

„ჩემი დაბრუნების დროც მოვიდა — 2004 წელს იძულებული ვიყავი, რინგი დროებით მიმეტოვებინა, რადგანაც ტრავმა ბრძოლის კი არა, ვარჯიშის საშუალებას არ მაძლევდა. თუმცა ახლა ყველაფერი რიგზეა და ისევ მინდა მწვერვალზე დაბრუნება. მაგრამ ეს ძნელი იქნება, რასაც ჩემი მომავალი მეტოქის სიძლიერეც მოწმობს. ჯამილი მაღალი კლასის მოკრივეა, რომელსაც ბევრი სახელიანი მძიმეწონოსანი დაუმარცხებია, ამიტომ ლაპარაკიც არ შეიძლება ჩემი მხრიდან მეტოქის შეუფასებლობაზე. ვიცი, რომ ეს ბრძოლა ბევრ რამეს წყვეტს — აქ გამოჩნდება, კიდევ შემიძლია თუ არა უმაღლეს დონეზე გამოსვლა. მიზანი კი მხოლოდ მოგებაა".

**კახა ლომჯარიძე**

# მარგარიტო, მარგარიტო...

**ნახევრადსაშუალო** წონაში WBO-ს ვერსიით ჩემპიონმა მექსიკელმა ანტონიო მარგარიტომ ვერ შეძლო ტიტულის შენარჩუნება, წააგო რა აქამდე დაუმარცხებელ ამერიკელ პოლ უილიამსთან და ქამარი მას გადაულოცა. უილიამსმა კარგად გამოიყენა სიმაღლეში 5 სანტიმეტრით მაღალია და სისწრაფეში უპირატესობა და მარგარიტო აშკარად დაჯაბნა. მექსიკელმა ბოლოსკენ კი გამოიღვიძა, მაგრამ ვილიამსმა ძალიან შთამბეჭდავი ბოლო რაუნდი ჩაატარა და მსაჯები საბოლოოდ დაარწმუნა თავის უპირატესობაში — სამივემ ამერიკელს დაიჭირა მხარე.

# მიხარესმა ტიტული დაიცვა



**უმსუბუქეს** წონაში ჩემპიონმა კრისტიან მიხარესმა ამ უქმეებზე დაიცვა WBC-ს ტიტული, როდესაც იაპონელი ტეპეია კიკუი დაამარცხა. მიხარესს წლეულს უკვე მეორედ მოუწია ტიტულის დაცვა — აპრილში მან თავის წონით კატეგორიაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მეტოქეს, ხორხე არსეს მოუგო.

სავარაუდოდ, მიხარესი 6 ოქტომბერსაც იჩხუბებს — ის ან WBC-ს ვერსიით ექს-ჩემპიონ მარტინ კასტილიოს, ანაც ტიტულის მაძიებელ ხოსე ნავაროს დაეტაკება.

# ბრიტანული დერბი

**კვირას** ლონდონში ძალიან საინტერესო დერბი შედგა ორ ადგილობრივ ზემძიმეწონოსანს — მეტ სკელტონსა და მაიკლ სპროტს შორის. ბრძოლა მეტად დაძაბული და თანაბარი გამოდგა. სწორედ ამიტომ მსაჯებს გაუჭირდათ გადაწყვეტილების მიღება. საბოლოოდ ორმა მათგანმა გამარჯვება სკელტონს მიანიჭა, ერთმა კი ფრე დააფიქსირა.

# აჯობებდა, არ ამდგარიყო



**კვირას** ატლანტიკ-სიტიში ნახევრადსაშუალო წონაში IBF-ის ვერსიით ჩემპიონმა პუერტორიკოელმა კერმიტ ცინტრონმა ძალიან შთამბეჭდავ სტილში დაიცვა ტიტული.

ცინტრონმა შავი დღე აყარა ნაკლებად ცნობილ არგენტინელ უოლტერ მატისს. პუერტორიკოელმა საწყის ორ რაუნდში ორჯერ დაანოკდაუნა მეტოქე. მართალია, არგენტინელი ორჯერვე წამოდგა, მაგრამ მისთვისვე აჯობებდა, ფიცარნაგზე დარჩენილიყო — მეორეჯერ წამოდგომის შემდეგ ცინტრონმა დარტყმების მორიგი უძლიერესი კომბინაცია გაატარა, რის შემდეგაც მატისი ძლივს მოასულიერეს.

**კახა ლომჯარიძე**





# ძველი შეფასდა, ახალი დაიგეგმა

## სეზონის პრიორიტეტი: ჩელენჯ ტროფი

**გუშინ** საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც გასული სეზონის შედეგებიც აფასეს და 2007-08 წლების პროგრამაც წარმოადგინეს.

ასოციაციის ოფისში მიწვეული ჟურნალისტების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს ვიცე-პრეზიდენტებმა — თამაზ თევზაძემ, მერაბ მეტრეველმა, რომელიც იმავდროულად ჩვენი ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა და გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ. საერთო აზრით, ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარუმატებელი (მეოთხე ადგილი) გამოსვლის მიუხედავად, 2006-07 წლების სეზონის შედეგები, დადებითად შეფასდა.

კარსმომდგარ სეზონში კი საქართველოს ხელბურთისთვის უმთავრესი ევროპის ხელბურთის ფედერაციის ტრადიციულ „ჩელენჯ ტროფის" ტურნირში მხოლოდ მონაწილეობა კი არ იქნება, არამედ ოთხგუნდა შეჯიბრების მასპინძლობა. ევროპაში ამ პოპულარული ტურნირის მეხუთე გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი სარეკორდოდ ბევრმა, ათმა ქვეყანამ გამოთქვა, რომლებიც ორ ქვეჯგუფში გაანაწილეს და ძალიან სასიამოვნოა, რომ ერთ-ერთი მათგანის თამაშები საქართველოში გაიმართება. თავიდანვე ვიტყვით, რომ ევროხელბურთის მამების ამ ჩვენთვის სასიკეთო გადაწყვეტილებაში დიდი როლი ითამაშა მათთან პირადად თამაზ თევზაძის საქმიანმა ურთიერთობამ და, ცხადია, იმანაც, რომ საქართველომ შარშან და წლეულს ნორმალურ დონეზე ჩაატარა ორი მაღალი რანგის კონტინენტალური ტურნირი.

„ჩელენჯ ტროფის" მასპინძლობა ჩვენთვის პრესტიჟულიცაა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ხელს შეუწყობს საქართველოში ხელბურთის ალმავლობას. ბუნებრივია, ჩვენი ეროვნული ნაკრები ჯგუფში პირველი ადგილისთვის იბრძოლებს, იანვარში კი ნორვეგიაში საერთო პირველობისთვის მეორე, შოტლანდიური ჯგუფის გამარჯვებულს გაეჯიბრება.

ეს საიმედო და საჩემპიონო პერსპექტივაა, მანამდე კი ჯერ დიდი საორგანიზაციო მუშაობა მოგვიწევს. მართალია, ევროპის ხელბურთის ფედერაცია ფინანსურად დაგვეხმარება შეჯიბრის ორგანიზებაში, მაგრამ მთავარი ხომ მაინც ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

მოკლედ, წლეულს შემოდგომაზე, 25-27 ოქტომბერს საქართველოში „ჩელენჯ ტროფის" პირველი ტურნირი გაიმართება. იმედია, ჩვენი ეროვნული ნაკრები მოლდოვას, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებთან ჭიდილში პირველ ადგილზე გავა და 2008 წლის იანვარში ნორვეგიაში ფინალურ მატჩში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

**გია ახალაძე**

მძლეოსნობა

# ახალგაზრდული მსოფლიო ამერიკელებმა დაამშვენეს

## ერთი ქართველი ოსტრავაშიც ბრალია



უილიამ უეინი

**ჩეხურ** ოსტრავაში დასრულდა ხუთდღიანი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელიც წინა ოთხზე ბევრად უფრო წარმომადგენლობითი და მაღალი დონის იყო. ეგაა, სკამებისგან განძარცვულ ოსტრავას სამძლეოსნო სტადიონს მაყურებელი აკლდა, მაგრამ ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე მძლეოსნობაში კი არა, ფეხბურთში არ ივსება სტადიონი და ეს ამბავი გულზე არავის მოხვედრია.

სამაგიეროდ, ოსტრავაში ჩავიდა 152 ქვეყნის 1228 მძლეოსანი, რაც თავისებური რეკორდია, ისევე როგორც ტურნირზე მივლენილი 580 მსაჯი. მონაწილე ქვეყნებში საქართველოც ერია, თუმც ქართველებს, უფრო ზუსტად კი ერთადერთ ქართველს, მწვერვალები არ დაუპყრია. ბირთვის მკვრელმა გიორგი ბედოშვილმა პირველივე ცდაზე ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ასე დამთავრდა მისთვის ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი. ბარემ აქვე მოგახსენებთ, მეზობელი ქვეყნის, აზერბაიჯანის დელეგაციამ ჩეხეთიდან მედალიც კი წამოიღო. რამილ გულიევმა ამერიკელებს, კარიბელებს და სხვა ფეხმარდ ჯეელებს საკმაოდ პრესტიჟულ სახეობაში, 200 მეტრზე სირბილში ოქროსი ვერა და ვერცხლის მედალი კი ააცალა.

ოსტრავაში სამი ახალგაზრდული მსოფლიო რეკორდი დამყარდა, რომელთაგან ყველაზე სენსაციური იყო ამერიკელი უილიამ უეინის შედეგი. ამ ჯეელმა 400 მეტრ თარჯრბენში დიდებისთვისაც კი მშვენიერი 49,01-წამიანი შედეგი აჩვენა და ძველ რეკორდზე 0,85 წამის ჩამოჭრის შემდეგ მთელი ოსტრავა აალაპარაკა, ამისგან მძლავრი თარჯმორბენალი გამოვა კი არა, უკვე გამოსულიაო.

მეორე ახალგაზრდული რეკორდიც ამერიკელებმა გამოჭედეს და კვლავაც თარჯრბენში. 110 მეტრზე ასევე მძლავრი შედეგით, 13,18 წამში იმარჯვა უეინ დევისმა, ვინც ძველ რეკორდს 0,04 წამი მოაკლო.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატები ერთობ სპეციფიკური ტურნირებია თუნდაც ასაკობრივი შეზღუდვის გამო. მოიგებ ერთხელ, შემდეგ კი ასაკი გემატება და დიდებში აგრძელებ კარიერას, ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის კი კარი იხურება. მაგრამ მძლეოსნობაში გამოჩნდნენ ისეთი ვუნდერკინდებიც, რომლებმაც ორჯერაც მოახერხეს აქ გამარჯვება. ბიანკა პერიე გახდა პირველი მძლეოსანი, რომელმაც ახალგაზრდებში მოგებული საჩემპიონო ტიტული შემდეგ ჩემპიონატზეც დაიცვა. ამ რუმინელ უროს მტყორცნელ გოგოს ჯერ ისეთი შედეგები არა აქვს, რომ უროს დიდქალებს, ტატიანა ლისენკოს, გულფია ხანაფეევას, იფსი მორენოს და ამათ ამქარს ტოლ-სწორად გაეჯიბროს, მაგრამ პერიემ თავისი ნიჭიერება და პირველობა ახალგაზრდებში დაამტკიცა, როცა ურო 64,61 მეტრზე დასცა და კონკურენტთა შორის ყველაზე გამორჩეულს ერთი და ორი კი არა, მთელი რვა მეტრით მოუგო. სათქმელია, რომ რუმინელი მეურვე გოგო შარშან პეკინში გამართულ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო, როცა პირველად გახდა ჩემპიონი.

ასევე ორგზის ახალგაზრდული ჩემპიონი შეიქნა რუსი ტატიანა კალმიკოვა, რომელმაც 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ზედიზედ მეორედ იაპირველა.

ოქროს გარეშე არ დარჩენილან მასპინძელი ჩეხებიც. დიდ ჩეხ მრავალჭიდელ რომან სებრლეს ქვეყანაში სირცხვილიც იქნებოდა, ამ სახეობაში ერთი რიგიანი მძლეოსანი არ გამოთლილიყო. ოსტრავაში კი ერთბაშად ორიც გამოჩნდა და ორივე გოგონა. ნიკოლა ოგროდნიკვა და კატერინა ჩახოვა სხვებზე უკეთესები და ერთმანეთის ღირსები იყვნენ. ოგროდნიკოვა გაცილებით უკეთ ასრულებდა 7 სახეობის მოცემულ დავალებებს, მაგრამ ერთ-ერთში, როგორღაც ყველა ცდაზე მოეცარა და საერთოდ უქულოდ დარჩა. ამ ჩავარდნით ისარგებლა და მოიგო ჩახოვამ. არადა, ოგროდნიკოვას თავისი ნორმა რომ შეესრულებინა და სულ ცოტა, 12 მეტრზე ეკრა ბირთვი; ის დაახლოებით 100 ქულით, ანუ საკმაოდ სოლიდური სხვაობით იმარჯვებდა.

ოსტრავადან ბლომად მედლეული წამოიღო ზემოთ ნახსენებმა ამერიკელმა უილიამ უეინმა. ამ თმებჩაწნულმა ზანგმა ჯეელმა 400 მეტრი თარჯრბენი ხომ გვარიანი რეკორდით მოიგო, შემდეგ თავი 110 მეტრ თარჯრბენშიც სცადა, სადაც მხოლოდ თანაგუნდელსა და მეგობარს უეინ დევისს ჩამორჩა, ბოლოს კი მან კიდევ სამ მეგობართან შეთანხმებით ამერიკის ოთხკაციან გუნდს კომბინირებული ესტაფეტა მოაგებინა. ეს ცოტა უცნაური სახეობა გახლავთ და ალბათ მალე დაინერგება დიდებშიც. უცნაური კი იმადაა, რომ 4-კაციანი გუნდები 1 000 მეტრზე გარბიან ესტაფეტურად — პირველმა უნდა გაირბინოს 100 მეტრი, მეორემ 200, მესამემ 300 და მეოთხემ 400. ამერიკის გუნდში მესამე კაცად ვეინი იდგა, რომელმაც თავისი წილი 300 მეტრი ყოჩაღად გალია და გამარჯვებაში დიდი წილიც დაიდო.

**ქოტე ყორშია**

ველორბოლა

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



ნიკოლა სარკოზიმ ტურის მსვლელობას მანქანიდან ადევნა თვალი

AFP

# ვინო ალპებში დაილია

**ალპები** დასრულდა და ალპებთან ერთად, ალბათ წლევანდელი „ტურის" მთავარ ფავორიტად მიჩნეული ალექსანდრ ვინოკუროვის იმედებიც დაილია. გუშინდელ, დე იზერანისა და გალიბიერის ორ გიგანტურმთან ეტაპზე, რომლის ფინიშიც, უკვე დაღმართის შემდეგ იყო, „ვინომ" კიდევ სამწუთნახევრამდე წააგო და ახლა მისი ჩამორჩენა ლიდერთან, დანიელ მიქაელ რასმუსენთან 8 წუთს აღემატება, ხოლო მეორე ადგილზე მყოფ ალეხანდრო ვალვერდესთან „ასტანას" ლიდერი ზუსტად ხუთწუთნახევარს აგებს.

ველარც მეორე ყაზახმა, ჯეელმა ანდრეი კაშეჩკინმა ივარგა და ალბათ ის დროა, მთელმა „ასტანამ გერმანელ ანდრეას კლოდენზე იმუშაოს, თუმც ეს უკანასკნელიც, რასმუსენს რომ თავი დავანებოთ, იმავ ვალვერდეს უკვე წუთითა და 15 წამით ჩამორჩება და ამათ შორის სხვა ძლიერი მრბოლებიც არიან.

ვალვერდე კი, კლდე წვეთიო გაიხვრიტაო და წამებზე მუშაობს — წამებს იგებს, საბონუსე წამებს აგროვებს და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ. „კაისე დეპარნის" ლიდერი გუშინდელ ეტაპზეც მეორე იყო და გენერალურ კლასიფიკაციაშიც უკვე მეორეა — რამდენიმე წამი საფინიშო აჩქარებით მოიგო, მეორე ადგილის სარგო პრემიალურებიც შეირგო და ცოტათი რასმუსენთან შეამცირა ჩამორჩენა და ცოტა-ცოტათი დანარჩენ კონკურენტებს გაასწრო.

ეტაპი ბრიტანული ველოგუნდის „ბარლოვორლდის" ახალგაზრდა მრბოლმა ხუან მაურისიო სოლერ ერნანდესმა მოიგო და 2002 წლის შემდეგ პირველი კოლუმბიელი გახდა, ვისაც ტურზე უმარჯვია.

სოლერი „დისქავერის" უკრაინელ იაროსლავ პოპოვიჩთან ერთად 2645-მეტრიანი გალიბიერის აღმართის დასაწყისში გაიქცა. მერე უკრაინელიც უკან მოიტოვა, უღელტეხილი მარტომ გადაიარა, კოშმარულ დაღმართსაც გაუძლო და ბრიანსონის ქუჩებში მოწყობილ ფინიშს 38-წამიანი უპირატესობით უწია.

ალპები დასრულდა. ახლა „ტურის" პელოტონი სამი დღით სულს მოითქვამს, მხელთაშუა ზღვის სანაპიროებს მოინახულებს და მერე, უკვე შაბათის 54-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა და სამი პირინეული ეტაპი იქნება.

და ერთიც — გუშინდელი ეტაპი თავისი დასწრებით საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ დაამშვენა, რომელმაც თურმე ოდინდელი ოცნება აისრულა და ტექნიკური უზრუნველყოფის მანქანით „ტურის" გზის გარკვეული მონაკვეთი მრბოლებთან პარალელურად გაიარა.

**მე-9 ეტაპი. ვალ დიზერი-ბრიანსონი. 160 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ხუან მაურისიო სოლერი (კოლუმბია, „ბარლვორლდი") | 4სთ 14 წთ 24 წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +38 წმ |
| 3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +38 წმ |
| 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +40 წმ |
| 5. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +42 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 43სთ 52 წთ 48 წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +2 წთ 35 წმ |
| 3. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +2 წთ 39 წმ |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +2 წთ 41 წმ |
| 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +3 წთ 08 წმ |
| 6. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | +3 წთ 18 წმ |
| 7. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3 წთ 39 წმ |
| 8. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +3 წთ 50 წმ |
| 9. ლევი ლეიფჰაიმერი (აშშ, „დისქავერი") | +3 წთ 53 წმ |
| 10. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | +5 წთ 06 წმ |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბამუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხრაშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42; II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00